

ՅԱՀԱՆԱԿԱՐԱՎՈՐ  
ՎՐԱՅԻ

Յ  
1966

Առաջնահայրեական



საქართველოს თეატრალური საზოგადოების

ა მ ა მ ა მ

№ 3 (36)

10/199



19 თბილისი 66

## რედაქტორი — დოდო ათაძე

---

**სახელადგინო კოლეგია:** დ. ანთაძე, შ. აფხაძე, ვ. გოძიაშვილი,  
ნ. გურაბანიძე, ო. ეგაძე, დ. მჭედლიძე,  
ბ. ულენტი, ნ. შვანგირაძე, გ. ციციშვილი,  
ა. ხორავა, დ. ჯანელიძე.

---

## რუსთაველი საქართველო

ქართველი ხალხი უდიდესი ზემინის ვითარებაში აღნიშნავს თავის ეროვნულ დღესასწაულს მსოფლიო პოეტური ეპოსის ერთ-ერთი უბრწყინვალესი შედევრის, უკვდავი „ვეფხისტყაოსნის“ შემქმნელის, გრინალური პოეტისა და მოაზროვნის შოთა რუსთაველის დაბადების 800 წლისთავს. შოთა რუსთაველის ხმა აკლერდა საბჭოთა ხალხთა თითქმის ყველა ენაზე, აღმოსავლეთისა და დასავლეთის ქვეყნების ბევრ ენაზე.

რუსულად „ვეფხისტყაოსნის“ პირველი გთარგმნელი კონსტანტინე ბალმონტი წერდა: „როგორც პომეროსია ქლადა, დანტე — იტალია, შექსპირი — ინგლისი, კალდერონი და სერვანტესი — ესპანეთი, ასევე რუსთაველი საქართველოა“.

რუსთაველმა, რომელმაც ერთნახევარი-ორი საუკუნით დაასწრო დასავლეთის რენესანსს, შუა საუკუნეების პოეტთაგან თავის შემოქმედებაში პირველმა ააღმოჩნდა თავისუფალი აზროვნების ელინისტური სული და უმღერანათელ პუმანისტურ იდეალებს, რაც შემდგომში საფუძვლად დაედო ევროპული ხელოვნებისა და ლიტერატურის აღმოჩნდებას. რუსთაველმა, რომელმაც ერთდროულად იცნობდა ამ ორი სამყაროს სულიერ კულტურას და ამ ცივილიზაციების მონაპოვრით მდიდრდებოდა. შეძლო თავიდან აეცდინა რელიგიური შეზღუდულობა. მან დაამსხერია ქრისტიანული სქოლასტიკისა და მაჰმადიანული ფანატიზმის ხუნდები. თავისი მკაცრი და პირქუში თანამედროვეობის დონეზე მაღლა დადგა ზაშუასაუკუნეობრივი მონიბისა და წყვდიადის ეპოქაში ადამიანური აზროვნებისა და გრძნობების თავისუფლების მძლავრ ქომაგად გამოვიდა. რუსთაველის ყოვლისმომცველი პუმანიზმი, მისი პატრიოტიზმი და ხალხთა მეგობრობის ქადაგება, მისი ნათელი. სიცოცხლისა დამაკვიდრებელი ოპტიმიზმი, ქალისა და ქაცის თანასწორობის იდეა, რასაც უმღერა. მასი გმირების მაღალი ზნეობრივი ცენტები — ყოველივე ეს უშრეტი იდეური სიმდიდრეა, რასაც ხორცი შეესხა ბრწყინვალე პოემაში.

შოთა რუსთაველი ცხოვრისძა და ქმნიდა XII — XIII საუკუნეების მიზნაზე. იგრ თამარ

მეფის — საქართველოს მრავალსაუკუნოვანი ისტორიის ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო პიროვნების თანამედროვე იყო. სწორედ თამარ მეფეს მიეძღვნა რუსთაველის რომანტიკული პოემა.

თამარ მეფისა და შოთა რუსთაველის ეპოქაში საქართველომ თავისი სახელმწიფოებრივი, ეკონომიკური და კულტურული ცხოვრების ყველა დარგის დიდ გაფურჩქვნას შიალწია. წინა ეპოქებთან შედარებით.

„ვეფხისტყაოსნის“ გაცნობა უმჯობეს ხდის მისი ავტორის ღრმა და ფართო განსწავლულობას. იგი ფლობდა ბერძნულ, არაბულ, სპარსულ ენებს. იცნობდა პომეროსა და ანტიკურ ფილოსოფიას. რუსთაველის პოემაში აშკარად იგრძნობა „ილიადასა“ და „ოდისეას“ შორეული გამოძახილი, თავს იჩენს პლატონის, არისტოტელეს, პროკლეს, ემპედოკლეს. დიონისე არეოპაგელის ფილოსოფიურ შეხედულებათა გავლენა. რუსთაველის ფილოსოფიური მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაში განსაკუთრებული როლი შეასრულეს პოეტის უშუალო წინამორბედმა იოანე პეტრი შემთხვევაში და მისმა შორეულმა წინამორბედმა პეტრე იბერმა — პალესტინას შეკედლებულმა გამოჩენილმა ქართველმა მოაზროვნემ, რომელიც. როგორც ქართველი მეცნიერის შალვა ნუცუდიძისა და ბელგიელი მეცნიერის ერნესტ პომინგმანის გამოკვლევების შედეგად გაირკვა, იყო ავტორი შუასაუკუნეობრივი ქრისტიანულ სამყაროში ფართოდ გავრცელებული ცგროთწოდებული არეოპაგიტული წიგნებისა, ფსევდო-დიონისეს ხელმოწერით რომ კვეყნდებოდა.

ამასთან რუსთაველი მჭიდროდ იყო დაკავშირებული მუსულმანური აღმოსავლეთის კულტურისთან. კერძოდ, არაბულ და სპარსულ პოეზიასთან. „ვეფხისტყაოსასაზში“ მოხსენებული არიან ფირდოსის, ნიზამის, გურგანის პოემების გმირები, მოაზროვნეებისა, რომელთა შემოქმედებასაც ქართველი პოეტი კარგად იცნობდა და დიდად აფასებდა. გამორიცხული არ არის შესაძლებლობა, რომ შოთა რუსთაველი პირადად ხვდებოდა დიდ ნიზამის პოეტურ

ტურნირებსა და შეჯიბრებებში. რაც თამარ მეფის სასახლეში ხშირად ეწყობოდა. ნიზამის სამშობლო შირვანი მაშინ ხომ საქართველოს სახელმწიფო შემადგენლობაში შედიოდა, სადაც მუსულმანი პოეტები და მოაზროვნენა ქართული კულტურის მოღვაწეთა თანაბრად სარგებლობდნენ პატივისცემით, ყურადღებითა და ზრუნვით.

რუსთაველი კარგად იცნობდა რუსეთსაც — საქართველოს ერთმორწმუნე ჩრდილოელ მეზობელს; — ამაზე მეტყველებს მისი ხსენება პოემაში.

საცხებით ცხადია. რომ რუსთაველმა შეაწყოვა არა მარტო წინამორბედი ეპოქების, არა მედ თავისი დროის ეროვნული და მსოფლიო კულტურის მიღწევები. სულიერი ინტერესებისა და ერუდიციის ამ განსაკუთრებულმა სიფართოემ პოეტს საშუალება მისცა შუასაუკუნეობრივი აზროვნების. რელიგიურ და ეროვნულ შეზღუდულობაზე მაღლა დამდგარიყო.

„ვუფხისტყაოსანი“ გამსჭვალულია თაფა-სუფალი აზროვნების, ადამიანის პიროვნების სულიერი სიდიადის მოტივებით. პოემის კონფლიქტის განვითარება გადაწყვეტილია ამაღლებული საწყისებისა და ცხოვრების ნეგატივური მხარეების ორთაბრძოლით. და სწორედ ცხოვრების უკიდურესობათა მკვეთრი დაპირისპირებით, მათი მწვავე და შეურიგებელი შეჯახებით, ავტორის მკაფიო და უკომპარომისო დასკვნებით იჩენს თავს პოემის ოხრობის ძირითადი პათოსი, მისი მაღალი ჰუმანისტური სულისკვეთება. მოთხოვთა იმაზე, თუ სიყვარულითა და მეგობრობის მაღალი გრძნობით შთაგონებულმა სამამა გმირმა რაინდმა — ტარიელმა, ავთანდილმა და ფრადონმა რა მამაცობისა და ვაჟკაცობის სასწაულები მოახდინეს, რა გამანადგურებელი დარტყმა აგერმეს ქაჯეთის მიუწვდომელ ციხეს, შეშუსრეს იგი და იქ დატყვევებული მხეთუნახავი ნესტან-დარეჯანი გაათვავისუფლეს, უდიდეს განზოგადებულ-ფილოსოფიურ. სიმბოლურ აზრის იძენს. ქაჯეთის მკაცრი და პირქუში ციხე პოემაში ასახულია როგორც მონობისა და ტირანის განსახიერება. ხოლო ნესტან-დარეჯანი — სილამაზის, სიკეთის, სიყვარულის, კეთილშობილებისა და ზნეობრივი სიწმინდის, თავისუფლების სიყვარულისა და სიმართლის სიმბოლო. ამ მაღალ ადამიანურ ცნებათა და მისწრაფებათა დამცველებად

პოემაში გამოდიან ქმაღნაფიცი გმირები ტარიელი, ავთანდილი და ფრიდონი. მათი ვამარჯვება ნიშნავს პროგრესის, სინათლისა და სიკეთის ზეიმს.

ლუი არაგონი თავის ცნობილ წიგნში საპჭოთა ლიტერატურაზე წერს: საქართველოში შვა თავისი დანტე მაშინ, როცა ჩვენ ძლიერ მივაღწიეთ კრეტიკი დე-ტრუასო. ისევე, როგორც გენიალურმა იტალიელმა — ევროპული ლორძინების პირველმა პოეტმა, მოთა რუსთაველმაც შექმნა ადამიანის საუკუნეებში უცკნობი ამაღლებული და ამამაღლებული პიმინი.

ნესტან-დარეჯანსა და ტარიელს, თინათინსა და ავთანდილს ერთმანეთი წმინდად. გულწრფელად უყვართ, იჩენენ თავდადებულ ერთგულებასა და გრძნობათა სიწრფელეს. მათი სიყვარული ქვენა. ხორციელი სწრაფვა როდია და არც არახორციელი, უსიცოცხლით ზეციური „პლატონიური“ ტანჯვაა. მათს მიწიერ, ადამიანურ, ამაღლებულ სასიყვარულო ურთიერთდამოკიდებულებაში ხორციელებამი ხორციელებამია სიყვარულის კოდექსი, რომელიც პოეტურად არის გადმოცემული „ვეზტისტყაოსნის“ პროლოგში. კეთილშობილებათა და უმაღლესი ზნეობით არის აღსავსე ეს სიყვარული. „ციური მაღლი“, რომელიც ადამიანს აღთვროვანებს მამაცური საქმეებისათვის.

თავის უკვდავ ქმნილებაში რუსთაველმა შექმნა გმირთა მთელი გალერეა, რომლის დამახასიათებელია ფიზიკური და სულიერი ვაჟკაცობა, სიმამაცე, გმირობა, ისინი თავდადებითა და ძლევამოსილად იძრძვიან დედამიწაზე ადამიანის ბედნიერებისათვის, ცხოვრებაში ბოროტებისა და უსამართლობის შემუშავრისათვის, მათი მამაცობა დღესაც ემსახურება კაცობრიობას სულიერი მხნების, მამაცობისა და შეუდრეკლობის აღმაფრთოვანებელი მაგალითებით.

რუსთაველის გმირები სხვადასხვა ეროვნებისა და სარწმუნოების ადამიანები არიან. ტარიელი და ნესტან-დარეჯანი — ინდოელები. თინათინი და ავთანდილი — არაბები, ფრიდონი — მულდაზანზარელი. მაკრამ ეს გარემოება მათ სულაც არ უშლით ხელს იყვნენ ერთგული მეგობრები, ერთმანეთისათვის უყოფანოდ გაწირონ სიცოცხლე. შუასაუკუნეობრივი ეროვნული და რელიგიური განსხვავებულობის, რასობრივი შეზღუდულობის ეპოქაში დიდმა პოეტმა უმღერა ხალხთა

შეგობრობისა და ქმნის წმინდა გრძნობებს, ინტერნაციონალური მისი იდეებს. ამასთან „ვეფეხისტყაოსნის“ გმირები გამოდიან სამშობლოს მგზნებარე პატრიოტებად, რომლებიც თავიათი მამულის ინტერესებს ყველაზე მაღლა აყენებენ.

ცხოვრების ლრმად გაგებამ, მის ყველაზე რთულ ხევულებში შეწყდომის, თავისი დროის ფართო სოციალურ პერსპექტივებთან ცხოვრებისეული კონფლიქტების გააზრებას უნარმა რუსთაველი გარკვეულ ჩადიკალურ დასკვნებამდე მიიყვანა. იგი ხედავდა და გრძნობდა ცხოვრებაში მდიდარსა და ღარიბს შორის არსებულ უთანასწორობას და თავისი დროის პირობებში არ შეეშინდა ეს ხმამაღლა განეცხადებინა.

თავისი აზრი ქვეყნად არსებული სოციალური უთანასწორობის ფაქტზე შოთა რუსთაველმა მეფე როსტევანის პირით გამოიქვა. რითაც კვლავ და კვლავ გმოვიდა საზოგადოებაში იღეალური ჰარმონიის, ადამიანთა მშვიდობისა და თანასწორობის აუცილებლობისაკენ მომწოდებლად.

„ვეფეხისტყაოსნის“ ავტორი გამოვიდა იმ დროისათვის ქალისა და კაცის თანასწორობისა და თანასწორულებიანობის იდეებს მგზნებარე აპოლოგეტად და დამცველად.

რუსთაველმა თავის პოემაში დახატა ქალთა სახეები, რომლებიც დაჯილდოებული არიან გარეგნული სილამაზით. სულიერი სრულყოფით. მაღალი ზნეობით, ურკევი ნებისყოფით, შორსმჭვრეტელობით, სიმტკიცით, ვაჟკაცობითა და მამაცობით. ნესტან-დარეჯანი, თინათინი და ასმათი არაფრით ჩამოუვარდებიან პოემის გმირებს ტარიელს. ავთანდილსა და ფრიდონს. ისინი ასახიერებენ მაღალ ადამიანურ ღირსებებს. ყოველივე კარგს, რაც შეიძლება ადამიანში იყოს. გმირი ქალების მომსიბლავი სახეების დახატვით რუსთაველმა ხალ სიმაღლეზე აიყვანა ქალის თაყვანისცემის ტრადიცია, რაც ასე ხასიათებდა საქართველოს მთელ მრავალსაუკუნოვან ისტორიას. ამით პოეტი გამოეხმაურა თავისი დროის ყველაზე აქტუალურ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ პრობლემას. ცნობილია. რომ საქართველოს ტახტზე თამარის ასვლამ ფეოდალურ-კლერიკალური რეაქციის გააფირებული წეანაღმდეგობა გამოიწვია. ამ ამბის გარშემო

ცხარე ბრძოლის ვითარებაში დიდმა პოეტმა შთაგონებული ჰინი უმღერა ქალის სულიერ ძალასა და სილამაზეს, აღფრთვენებით განადიდა ახალგაზრდა მეფე. ეს გარემოება ერთხელ კიდევ ადასტურებს, რომ რუსთაველი აქტიურად იჭრებოდა თავისი დროის სინამდვალეში და ცოცხლად ეხმაურებოდა თავისი ქვეყნის ცხოვრების საჭირობოროტო საკითხებს.

შოთა რუსთაველი პოეტური შედარებებისა და მეტაფორების უბალლო სიტატია. მისი გაშლილი მეტაფორები ხშირად შთელ სტროფებს მოიცავს და წარუშლელ შთაბეჭდილებას ახდენს. რუსთაველის პოეტური სტილი განსაკუთრებული აფორისტულობით გამოიჩინა. პოემაში ძალზე ბევრია მარჯვე, ღრმა აზრით აღსავს აფორიზმი, რომლებშიც ხალხური სიბრძნეა ჩაქსოვილი. ეს აფორიზმები საუკუნოდ დამკვიდრდა ცოცხალ მეტყველებში და ხალხის საყვარელ გამოთქმებად იქცა.

რუსთაველი ლექსის მუსიკალური ორგანიზაციის, მისი გაორკესტრების ჯადოქარია. შოთას ოქესმეტმარცვლოვანი „შაირი“ ინტონაციურ მრავალფეროვნებას და ნამდვილ პოლიფონიურობას აღწევს მაღალი და დაბალი ფორმის — ური რიტმული ნაკადის მონაცვლეობით. პირველი მათგანი ქმნის მაჟორულ ინტონაციას, ხოლო მეორე მინორულს. რუსთაველის სტროფი — ეს თავისებური კატერები — აწყობილია კეთილხმოვანი რითმებით. დამუშავებულია სიტყვათხელოვნების ნამდვილი ბრწყინვალებით. რუსთაველმა უდიდესი როლი შეასრულა ქართული ლიტერატურული ენის გამდიდრებაში, მის განახლებასა და დემოკრატიზაციაში. ცოცხალ სამეტყველო ხალხურ ენასთან მის დაახლოებაში.

ქართველი ხალხი მუდამ შეინახავს მოწიწების. მაღლიერებისა და მაღლობის გრძნობას თავისი რუსთაველისაღმი იმისათვის, რომ იგა ხალხს ზრდიდა ვაჟკაცობისა და სიმამაცის სულისკვეთებით. რის შეალობითაც საქართველომ ყოველგვარ განსაცდელებ გაუძლო და თავისი კულტურა და ენა ჩეენს დღემდე მოიტანა.

ქართველი ხალხი რუსთაველს თვლის თავის უკვლევ წინამორბედად და ცოცხალ თანამედროვედ. ჩეენი ლიტერატორები თავისი

გენიალური წინამორბედისაგან სწავლობენ  
და მუდამ ისწავლიან პოეზიის მაღალ იდეუ-  
რობას (რასაც რუსთაველი „სიბრძნის დარგს“  
უწოდებს), ხელოვნების სისხლხორციულ კავ-

შირს ხალხის ცხოვრებასთან და ეპოქის მოწი-  
ნავე იდეებთან, მხატვრული შემოქმედების  
ოსტატობის სრულყოფას.

გესარიონ ჭლენტი.

## თეატრის და სახიობის აღორძინება ჩუსტაველის ეკონაში

სანამ ძელი ქართული სახიობა (თვით-შეფადი სანახაობრივი კულტურა) შეუსწავ-ლელი იყო, ფიქრობდნენ, რომ საქართველო-ში თეატრი მეთვრამეტე საუკუნეში დაარსდათ. ახლა, როდესაც საბჭოთა მეცნიერების მრავალი დარგის მონაპოვარით ბევრი რამ გა-ირჩევა და ნათელი გახდა, ქართული თეატრის ისტორიას ერეკლე მეორის მეფობის ხანიდან კი არ ვითვლით. არამედ საქართველო-ში მო-ნათმფლობელური სახელმწიფოების არსებობის ხანიდან. თეატრალური ხელოვნების სა-წყის ფორმებს ძელ აღმოსავლურ სახელმწი-ფოთა თანამედროვე ძელკოლექტურ სამეფომ-დე მივყევართ.

როგორც გარკვეულია ძვ. წ. მეექვსე საუ-კუნეში, ახლანდელ დასავლეთ საქართველოს მიწა-წყალზე შექმნილი კოლხეთის სამეფო დაწინაურებული კულტურის ქვეყანა იყო. ბერძენი მწერლების მოწმობით კოლხებს სა-კუთარი უძველესი დამწერლობა ჰქონდათ. კოლხეთის ქალაქებში სულიერი და ფიზიკუ-რი აღზრდისათვის არსებობდნენ გამაზიები. თეატრები და იპოდრომები. პროკოპი კესა-რიელის ცნობიდან ჩანს, რომ ა. წ. მეექვსე საუკუნეში აფსარუს (კოლხეთის ქალაქის) თეატრის და იპოდრომისაგან მთლიან „ნა-შენობათა საძირკველი“ ყოფილა დარჩენილი, რაც შორეული წარსულის ნანგრევ ძეგლებს წარმოადგენდნენ.

ძელი კოლხეთის აფსარუს თეატრში უნდა ვიგულისხმოთ. რომ წარმოადგენდნენ რო-გორც ელინელი, ასევე კოლხი ტრაგიკოსი მსა-ხიობები როგორც ბერძნულ. ასევე. შესაძლე-ბელია, ადგილობრივი ავტორების დრამატულ თხზულებებსაც.

ქუთაისის მახლობლად ვანში აღმოჩნდა ან-ტიკური ხანის თეატრალური ნაღაბის მოდე-ლი (შემცირებული ნიმუში). თერჯოლაში ნა-პოვნია სამი თეატრალური ნიღაბის გამომსახ-ველი გეგმა. ს. ბორის ცნობილ განმიღან ცნო-ბილია გეგმა. რაზედაც მკვლევართა აზრით ბაკე-დიონისეს საზემო მსვლელობა უნდა იყოს გამოხატული. სვანეთიდან ჩამოიტანეს კამეია, ბაკე-დიონისეს საზემო მსვლელობის

მონაწილის გამოსახულებით. ბიჭვინთის არ-ქეოლოგიური გათხრებით ნაპოვნია მევენა-ხეობა-მელონეობის მფარველი ღვთაების ქან-დაკება. აქვე აღმოჩნდა ძელი ქართული სიმ-ლერის (კომედიის). ქართულ სახილველში (თეატრონში), სამღერელზე (სცენაზე) მოთა-მაშე მემღერეს (კომიკოსი მსახიობის) ქანდა-კი. მემღერე გამოსახულია ქოსატყუილას (პოპლიკას) ნიღაბში. ქოსატყუილა ძელი ქართული სიმღერის მწერლობის (კომედიო-გრაფიის) ერთ-ერთი მთავარი პერსონაჟი უნ-და ყოფილიყო.

კოლხეთში ა. წ. IV საუკუნეში არსებობდა ოიტორიკული სკოლა. ოიტორიკულ სკოლებ-ში სასწავლო მიზნით იმართებოდა წარმოდ-გენები, ე. წ. კვილისტრები — თეატრალური შეჯიბრებანი. ამასთანავე, იმართებოდა აქრო-ამატული შეჯიბრებანი: მუსიკასა, მღერასა და მხატვრულ კითხვაში. კანონების შესწავლა მიმდინარეობდა თეატრალური გარდასახვით. სწავლადამთავრებულთა გამოშვებისას იმარ-თებოდა თეატრალური წარმოდგენები.

პონტოს სამეფოში (ძვ. წ. IV — I სს.), რომ-ლის მოსახლეობის ძირითადი ნაწილი ქარ-თული წარმოშობისა იყო, ლუკიანეს სიტყვით არსებობდა თეატრები. აქ განსაკუთრებით გავრცელებული ყოფილა ბაქტური პანტომა-მური წარმოდგენები. ლუკიანეს სიტყვით, ამ წარმოდგენებით იმდენად გატაცებული იყ-ვნენ „ადგილობრივი ხალხები, რომ დანიშ-ნულ დროს ისინი ერთობლივ სუყველანი ივიწყებდნენ ყველა სხვა საქმეს და ისხდნენ თეატრში მთელი დღეები და უშესებლენ ტი-ტანებს, კორიბანტებს,\* სატირებს და მწყე-სებს“. ამის მიხედვით შეიძლება დავასკვნათ,

\* კორიბანტები — ბერძნული გადმოცემებით ღვთაებათა დედის კვიბულებს (რომლის ქანდაკება აღ-მართული იყო კოლხეთის ქალაქ ფაზისის შესასვლელ-ში) ქურუმებია. სტრაბონის ცნობით კორიბანტები, რომელთაც დამწერლობის — კვირბების შექმნა მიე-წერებათ კოლხთაგანნი არიან (იხ. აკაკი ურუშავაძე, „ძელი კოლხეთი არგონავტების თმულებაში“, 1964, გვ. 162). კორიბანტებს მიეწერებოდათ მუსიკის რიტ-მის აღმოჩნაც (იქვე, გვ. 164).

რომ პონტოს სამეფოში არსებული თეატრები ქართულ და მის მონათესავე მოსახლეობას ეკუთვნოდა.

თეატრი არსებობდა ქართლის (იბერიის) სამეფოში. რომელიც დ. წ. III საუკუნეში შეიქმნა. სტრაბონს აღნიშნული აქვს, რომ „იბერია მეტწილად კარგად ირის დასახლებული ქალაქებითაც და დაბებითაც, ისე რომ იქ არის კრამიტიანი სახურავები. სახლები არქიტექტურულად მოწყობილი, ბაზრები და სხვა საზოგადო დაწესებულებები“. ამ საზოგადო დაწესებულებათა ნაგებობებს შორის სტრაბონი უნდა გულისხმობდეს თეატრის და იპოდრომის ნაგებობებს. შედარებით უფრო გვიანდელ ხანაშიც საგულისხმებელია იბერიის ქალაქებში საზოგადოებრივი შენობების არსებობა. 1938 წელს სამთავროს სამაროვანზე აღმოჩენილი წარწერიანი ქვის მიხედვით ქალაქ მცხეთას ახ. წ. მეოთხე საუკუნეში ჰყავდა მხატვართა უცუცესი და ხუროთმოძღვარი ავრელი. უფლისციხეში, აკად. შ. ამირანაშვილის მტკიცებით, კლდეში ნაკვეთ ნაგებობათა ერთ-ერთი კომპლექსი ელინისტური ხანის თეატრალური დანიშნულების შენობად მიიჩნია. უფლისციხის თეატრი უნდა ჰქონდეს მხედველობაში VI — VII საუკუნის ძეგლიდან მომდინარე ძველი ქართული ორიგინალური ნაწარმოების „წამება აბიბოს ნეკრესელისას“ ავტორს, როცა წერს „თეატრონი დიდი იქნაონ“.

მცხეთაში ჩატარებული არქეოლოგიურა გათხრებით სხვადასხვა დროს და სხვადასხვა ადგილს აღმოჩნდა მოცეკვავე ქალის და მენესტვის (ფლეიტისტის) გამომსახველი ქანდაკებანი, გემები თეატრალური ტრაგიკული ნიღბების გამოსახულებით. განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს არმაზციხის კლდეკარში აღმოჩენილი სარკოფაგის ვერცხლის ჭურჭელიდან თასი. რომელზედაც გამოხატულია თოხი თეატრალური ნიღბის კორიბანტებისა, რაც იმას უნდა მოწმობდეს. რომ ქართლის სამეფოს სახილველებშიაც (თეატრონებში) განსაკუთრებულ მოწონებაში უნდა ყოფილიყო აგუნა-ბაკ-დიონისური პანტომიმები. ასეთი პანტომიმის ვრცელი აღწერილობა შემონახულია მსოფლიო მნიშვნელობის ძველ ქართულ რომანში „ბალავარიანში“: მემორანული და მეჩანგენი:

1. „ოდესმე ეჩუენიან სამოსლითა და სახითა მამაკაცობრივითა,

2. „და ოდესმე საჭურველითა შეიმკიან და ვლენებ.

3. და ოდესმე სახითა მონადირეთათა,

4. და ოდესმე ქნარითა და ნესტვითა და შინწილითა და თითობირითა სახიობითა შემკობილნი [ეჩუენიან].

5. და ოდესმე ებრძვიედ და ზედა მიეჭრებიედ განშიშულებული და ეტყვიედ მრავალთა სიტყუასა აღძრვისასაც.

ამ აგუნა-ბაკურ-დიონისური პანტომიმიკური წარმოდგენის „მემორანე მეჩანგეთა“ გამომსახველი უნდა იყოს ბაგინეთსა და სადგურის აკლდამაში აღმოჩენილი შიშველი მოცავავე ქალის და ფლეიტისტის ქანდაკებანი.

ჩვენამდე მოაღწია II — V საუკუნეების ქართული დრამატული პოეზიის დიალოგიურმა ფრაგმენტებმა. რომელნიც შემონახულიალეონტი მროველის და ჯუნშერის ისტორიულ ნაშრომებში. ეს ფრაგმენტები ფარსმან ქველის და ვახტანგ გორგასალის ამსახველი ტრაგედიებიდან უნდა მომდინარეობდეს.

ქართულ სახიობას რუსთაველის ხანისათვის უკვე მრავალსაუკუნვანი განვითარების, მანძილი ჰქონდა გავლილა და ახალ ცორძინებას განიცდიდა. რუსთაველის დროის სახიობაში დახელოვნების გასათვალისწინებლად სხვა წყაროებიც რომ არ გვმველოდეს, „ვეფუსისტყაოსნის“ დაკვირვებული შესწავლაც იქმარებდა.

სახიობა წარმოადგენდა პოეტური სიტყვის. სიმღერის და ცეკვის შერწყმას. „რუსულანიანმა“ სახიობის წარმოდგენის ქვირფასი აღწერილობა შემოგვინახა: მსახიობ-ქალებს „ასეთი თვალითა და მარგალიტით გაფრქვეული ტანისამოსი ეცვათ და ყოვლისთანა სამკაული ჰქონდათ, რომ ვარსკვლავივით ბრჭყვალობდა. ოროლნი გამოვიდიან ერთრიგად, ითამაშინ და კიდევ სხვა ორნი გამოვიდიან სხვარიგად, რამდენი გამოვიდა. სხვარიგად ითამაშეს, სხვარიგი საკრავი დაუკრეს და სხვა ხმათქვეს“. სწორედ ასეთი წარმოდგენები იყო გავრცელებული XII საუკუნის საქართველოში და ამიტომაც რუსთაველის პოემის პერსონაჟმა როსტევანმა „სიხარულით თამაშობა აღიადა. მგოსანი და მოშაითი უხმეს. პოვეს. რაცა სადა“.

სახიობა ნამდვილი თეატრალური წარმოდგენა იყო, რამდენადაც გარდასახვას, პოეტური ნაწარმოებით მოცემულ მოქმედ პირთა

განხორციელებას შეიცავდა. აკი „ვეფხისტყაოსნის“ ფატმანი (რომელიც „მუტრიბთა და მომღერალთა მოყვარული“ იმდენად იყო, რომ ოვით ლებულობდა პროფესიულ მომღერალთა გვერდით სახიობაში მონაწილეობას) ამბობს: „ბაღას შიგან თამაშობად საღამოსა ვავე უამსა... მომყვარებოდეს მომღერალნი, იტყოდიან ტკბილსა ხმასა. ვიმღერდი და ვყმარწვილობდი, ვიცვალებდი რიდე-თმასა“. რიდეს (საბურველის) და ომის შეცვლა სამსახიობო გარდასახვის ძველთაგანვე ცნობილი საშუალებანია. ძველი ქართული მსოფლიო მნიშვნელობის რომანის „ბალვარიანის“ მოწმობითაც სახიობის დამახასიათებელ თვისებას გარდასახვა შეადგენდა. მა ძეგლის ვრცელი რედაქციით, რომელიც IX — X საუკუნეებით თარიღდება ქალნი მემგოსნენი და მეჩანევნი „ეჩუენნიან სამოსლითა და სახითა მამაკაცობრივითა და ოდესმე საჭურვლითა შეიმკვნიან... და ოდესმე სახითა მონადირეთაითა. და ოდესმე ქნარითა და ნესტვითა და წინწილითა და თითო-პირითა სახიობითა შემკობილნი“. ამრიგად, სრულიად ნათელი ხდება, თუ რას ნიშნავს ფატმანის თქმა: „ვიმღერდი და ვყმარწვილობდი. ვიცვალებდი რიდე-თმასა“, ე. ა. ფატმანი თამაშობისას გარდასახვით ახალგაზრდა მამაკაცს წარმოადგენდა და ამას აღწევდა „რიდე-თმის“ შეცვლით.

სახიობის განვითარებას საფუძვლად ედვასრულიად ჩამოყალიბებული ესთეტიკური შეხედულებანი, რამაც ასახვა ჰქონა რუსთაველის პოეტიკაში. რუსთაველმა „შაირობა“ სიბრძნის ერთ-ერთ დარგად მიიჩნია, ხოლო შაირობის ერთ-ერთ გვარს „მესამე ლექსი“ („სიმღერის მწერლობას“ — დრამატულ პოეზიას) მოსთხოვა ნათლად თქმა და მონუმენტურობა: „მოშაირე არა ჰქვიან. ვერას იტყვიას ვინცა გრძელად“. სახიობაში მცირე უანრის გაბატონებისას რუსთაველი მხარს უჭირდა და იბრძოდა დრამატულ მწერლობაში მონუმენტური უნრების აღსადგენად. რუსთაველი მოითხოვდა, რომ სიბრძნის დარგად აღიარებული შაირობის ყოველი დარგი და მათ შორის „მესამე ლექსი“ — „სიმღერის მწერლობა“ — „მოშაირობა“ — დრამატურგია „მსმენელთათვის დიდი მარგი“ უნდა ყოფილიყო. თანაც რუსთაველისათვის განსაკუთრებით საინტერესოა მსმენელის (მაყურებლის) საკითხი. რუსთაველმა კარგად იცის. რომ შაირობის (პოეზიის) და მისი ერთ-ერთი დარგის

სიმღერისმწერლობის (დრამატული პოეზიის) სიბრძნე რომ საზოგადოებრივ მოვლენად იქცებ. ამისათვის არ კმარა მარტო დრამატული მწერლობა და მისი შემსრულებელი: მემღერე. მემგოსნე-მეჩანევნი. დრამატული პოეზია და მსახიობელთა ხელოვნების კეთილი ზეგავლენის ძალა ბევრად არის დამოკიდებული თვით მაყურებელ-მსმენელზე. რუსთაველის შეხედულებით: „კვლა აქაცა იამების, ვინცა ისმენს კაცი ვარგი“. სახილველში (თეატრში) სიამის („წინაგაწმენდისა და წინაგანსწავლის“) მისამებად, სიბრძნის შესაოვისებლად მაყურებელი მომზადებით და გათვითცნობიერებით „ვარგი“ უნდა იყოს. რუსთაველი სახიობისათვის „ვარგი“ მაყურებლის საკითხს აყენებდა და ესეც საგულისხმოა. რამდენადაც აშკარავებს იმ დროის უსთეტიკური აზროვნების დაწინაურებას.

შესაძლებელია ვიფიქროთ. რომ სასახლის კარის ვიწრო წრისათვის ისევე როგორც ბიზანტიაში, საქართველოშიც განაგრძობდნენ სოფოკლესა და ევრიპიდეს ტრაგედიების. მენანდრეს კომედიების წარმოდგენას. საქართველოში არსებული კადემიები და საქართველოს გარეთ, უცხოეთში შექმნილი ქართული სემინარიები ხელს უწყობდნენ ანტიკური კულტურის ტრადიციების აღდგენა-შეთვისებას ელინური ტრაგედიების სწავლება-წარმოდგენებით.

ქართული სახიობა წარმოადგენდა სრულიად თვითმყოფად თეატრს, რომელსაც წარმართავდა საკუთარი სიმღერისმწერლობა (დრამატული პოეზია), სიცოცხლეს ანიჭებდა მემღერე-მემგოსნე-მეჩანევთა მრავალსაუკუნოვანი ხელოვნება და ნიადაგს უმაგრებდა ნაცადი წყობა და მოქნილი ორგანიზაცია.

სახიობის სიმღერისმწერლობის (დრამატული პოეზიის) რუსთაველის კლასიფიკაციით „მესამე ლექსის“) უნრებია: ქება. ქალ-ვაჟიანი („საშიუკლი“. ბასრობა („ამხანავთა სათრეველი“) და „სალალობო“ (მსუბუქი უანრი, გასართობი). XII საუკუნის გამოჩენილი სიმღერისმწერალი უნდა ყოფილიყო ბისტიკა, რომელიც თავის ნაწარმოებებს წერდა ორმარცვლიანი საზომის თავისებური სახით, რის-თვისაც მას ბისტიკაური ეწოდა.

სახიობის შემსრულებელი მსახიობები (მგოსნები, მუტრიბები, მოშაითები, მემღერები, მოკიცხარნი, მზუელავნი, მროკველნი, მეშუშვარენი, მრგვალის მომვლელნი, მემუსიკენი, მსახიობელნი და სხვ.) „დაბალი“ სო-

ციალური ფენიდან იყვნენ გამოსულნი და ამავე ფენას ეკუთვნოდნენ. ცალკეული მსახიობები ახერხებდნენ სიმღიდრის მოხვეჭასა და აღზევებას. ახალგაზრდობაში მსახიობა ყურთლუ არსლანი შემდეგში თამარ მეფის მთავრობის უეზირი — მეჭურჭლეთუხუცესია. ასევე სახიობის მემღერებ და მოასპარეზე მაღალ მანკაბერდელმა ათაბაგობას მიაღწია.

მეთორმეტე საუკუნის სანახაობრივი კულ-

ტურის აღორძინებას მოწმობს მრავალი სახის სანახაობრივ ნაგებობათა „სახლი სათამაშო“, „სალხინო“, „სახლი სანადირო“. „წანულეთი“, „მოედანი“. იპოდრომი და სხვ.) არსებობა და სასახიობო მდიდრული საკარვო აუკაზმულობათა ქონება. ყოველივე ეს ასახულია „ვეფხისტყაოსანში“ იმ დროის სხვა პოეტურ ძეგლებსა და საისტორიო თხზულებებში.

დიმიტრი ჯანელიძე.

## რუსთაველი და მისი პოემა დაქანატურგიასა და სცენაზე

შემბელი ერის უდიდესი პოეტისა და შეუსუქნების ბრწყინვალე მოაზროვნის შოთა რუსთაველის გენიალური ქმნილების „ვეფხისტყაოსნის“ უაღრესი პოპულარობა დიდი ხანია რაც შორს გასცდა საქართველოს საზღვრებს. მართლაც რომ იშვიათია ხალხის ყველა ფენისათვის ასე ცნობილი წიგნი. მეჩვიდმეტე საუკუნის პოეტმა არჩილმა გვაუწყა, რომ რუსთაველის ლექსით სავსე არის საქართველო. იგი ყველგან გაჰქიცხს. საღაც ჭირია. თუ ლხინიო.

„ვეფხისტყაოსნი“ უაღრესად სცენურია. შეიცავს მრავალ სანახობას, დრამატულ კონფლიქტებს. მხატვრული შეღარებებით მოტანილ ქვეტექსტებს. აუარებელ მოსწრებულ სიტყვებს. ამიტომ მისცა პოემამ სახობას შდიდარი მასალა. საქორწილო სახობასა და წეს-ჩვეულებებში მიღებული იყო რუსთაველის ლექსების სიმღერით შესრულება.

ჩვენში ცნობილი იყვნენ „ვეფხისტყაოსნის“ მთქმელები, პროფესიონალი მესტვირებები, რომლებიც პოემის ტექსტს წარმოთქვამდნენ მუსიკით. საკრავის აკომპანიმენტით. ასეთ სიმღერებს მთავარი ადგილი ეჭირა მეჩვიდმეტე საუკუნის მეორე ნახევრის ქართულ თეატრონში. აქვე მუსიკის გარეშეც კითხულობდნენ ტექსტს. გარდა ამისა, ბაა-სობდნენ და ერთმანეთს ადარებდნენ რუსთაველს. მოედნებზე და თეატრონის ასპარეზზე დიდად იყო მოწონებული არჩილის „რუსთაველისა და თეიმურაზ I გაბაასებანი“. უფრო მოვიანებით წარმოადგენდნენ რუსთაველის. თეიმურაზისა და არჩილის საუბართა ინსცენირებას.

მეცხრამეტე საუკუნემდე პოემის კავშირი თეატრთან უმთავრესად ამით გამოიხატებოდა. თუმც ასეთი არა პირდაპირი. თეატრალური მოვლენა იმის შემდეგაც გაგრძელდა. რაც „ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტზე შეიქმნა ნამდვილი სცენიური ნაწარმოებებიც.

მეცხრამეტე საუკუნეშიც ლხინსა და ნადიმობის დროს მღეროდნენ და კითხულობდნენ რუსთაველის სიტყბოებით სავსე ლექსებს. პოემის საუკეთესო მკითხველები იყვნენ ილია

ჭავჭავაძე, მამია გურიელი, ბარბალე ჯორჯაძე, დიმიტრი ყიფანი...

ოთხმოციან წლებიდან განსაკუთრებული მოწონება დაიმსახურა ცნობილი უნგრელი მხატვრის მიხაი ზიჩის ილუსტრაციების მიხედვით შესრულებულმა ცოცხალმა სურათებმა. მათ გასცენირებას თვით ზიჩი ხელმძღვანელობდა. გასცენირებული იყო სურათები ნესტან-დარეგანთან ტარიელის მოყვანისა კოშკში, თინათინის გახელმწიფებისა, შოთას მიერ „ვეფხისტყაოსნის“ მირთმევისა თამარ მეფისადმი და სხვა მრავალი.

ცოცხალ სურათებში მონაშილეობდნენ ქართველი მსახიობები, პოემის ტექსტის გამოხენილი მკითხველები, სცენის მოყვარეები. თამარის როლში გამოდიოდნენ მ. იოსელიანი, ნ. ჩოლოყაშვილი; რუსთაველის როლში — დ. სარაჯიშვილი. მ. გურიელი; ტარიელის როლში — გ. შერვაშიძე, რომელიც ისე კარგა ყოფილა ამ სახეში, რომ. როგორც ამბობდნენ თანამედროვენი, „თვით საფლავიდან ამდგარი შოთაც არ დაიწუნებდა მას იერს და სახის მეტყველებას“. სურათებს დგამდნენ სპეციალურად აგებულ ფიცრულში.

„ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტზე შექმნილი სურათების გასცენირებით გახარებული მაყურებელი შენაშნავდა: „ნეტარება იმ მეფეს, რომელსაც ასეთი ქვეშევრდომნი ჰყოლებია. რომელთა უაღრესი სურათებიც მთელი საუკუნების შემდეგ აღტაცებაში მოიყვანს არამც თუ საკუთარ შთამომავლობას. არამედ გარეშე პირებსაც“ (გამ. „დროება“, 1882, 23 ობერვალი).

შიხ. ზიჩი, თბილისის გარდა, სურათებს დგამდა ქუთასშიც წინამძღვრიშვილის შეფასებით „თუმც ამ პოეტმა-მხატვარმა ქართული არ იცოდა. მაგრამ საქართველოს მდიდარმა ბუნებამ გააგებინა იმას დიდებული რუსთაველის აზრი და მით წარმოუდგინა იმის გრძნობას გმირნი „ვეფხისტყაოსნისა“. („დროება“, 1882 წ. № 27).

ზიჩის სურათების მიხედვით უკვდავი პოემის ცოცხალ სურათებად წარმოდგენა დიდალ ხალხს იზიდავდა; ეს პეტრე უმიკაშვილს

მიაჩნდა ქართული თეატრის წინსვლისათვის მნიშვნელოვან მოვლენად.

ამ თეატრალურმა ელემენტებმა დიდად შეუწყეს ხელი „ვეფხისტყაოსნის“ ნამდვილ თეატრალურ მოვლენად ქცევას. ჩასაც საწყისი მეცხრამეტე საუკუნის პირველსავე წლებში მიეცა.

„ვეფხისტყაოსნი“ პიესის სახით პირველად დამუშავა გოდერძი ფირალიშვილმა. მან 1805 წელს პოემის მიხედვით დაწერა პიესა „ინდოეთის ტახტის მემკვიდრე ანუ სიყვარული საშმობლოსადმი“.

პიესა წარმოადგენს სათავეადსავლო დრამას. მოქმედება წარმოებს ინდოეთში, არაბეთში, იაპონიაში, ხორასანში. მოქმედი პირნა არიან: ფარსადანი (მეფე ინდოეთისა), ნესტანდარევანი (ასული ფარსადანისა), ტარია (ინდოეთის ტახტის მემკვიდრე, მეფე ხორასანისა).

პირველი ცნობა ამ პიესის შესახებ ეკუთვნის ოქროპირ ბატონიშვილს. მისი ცნობით, გიორგი ბატონიშვილის მდივანმა ფირალიშვილმა, შემდეგში „ინოსტრანნი კოლეგიის“ მთარგმნელმა. დაწერა 5 მოქმედებიანი ტრაგედია „ვეფხისტყაოსნი“. და პოლოს მასკე ეს ტრაგედია რუსულად უთარგმნია. (ჩვენამდე იგი არც ერთ ენაზე არ არის მოღწეული).

რუსულ ოფიციალურ წყაროებიდან ჩანს. რომ ეს რუსული თარგმანი 1808 წელს ავტორს წარუდგენია საგარეო საქმეთა მინისტრ რუმინაცევისათვის, რომელსაც დაუწეუნებდა იგი კლასიცისტური კანონების დარღვევას გამო.

როგორც სათაურიდან ჩანს, პიესა პატრიოტული ყოფილა. ტრალედია ტარიელის მიერ უცხო ძალაგან სამშობლოს ღაცების ამბებს განასახიერებდა. ინდოეთის ტახტის მემკვიდრე ტარიელისაგან ხვარაზმთა მეფის ძის მოკვლისა და ნესტან-დარევანის განთავისუფლების ამბებში გოდერძი ფირალიშვილი პოულობდა სამშობლოსადმი სიყვარულის აღმგზნებ სიუჟეტს.

მართალია. გოდერძი ფირალიშვილის პიესა მეფის მთავრობის მიერ აკრძალულ იქნა იმ საბაბით, რომ მასში დარღვეული აღმოჩნდა დროისა და ადგილის ერთიანობა, — თვით ტრალედის აღმოსავლური სიუჟეტიც მიუღებლად იქნა მიჩნეული, მაგრამ. ცადია, რომ აკრძალვის მთავარი მიზეზი ის იყო, რომ მეფის ცენზურამ მეცხრამეტე საუკუნის ამ

პირველ ქართულ ტრალედიაში ქართული ნაციონალური თვითშეგნების აღმგზნები ძალა დაინახა და მიტომაც მისი დაბეჭდვა აკრძალა.

გოდერძი ფირალიშვილის ტრალედია მრავალმხრივ არის საყურადღებო. მასში საფუძლად „ვეფხისტყაოსნის“ ფონია აღებული და გმირთა მოქმედება ისევეა გაშლილი. როგორც ეს პოემაშია მოცემული. ტრალედია იძლევა კლასიცისტური კანონების დარღვევისა და რეალიზმის აღიარების ნათელ სურათს.

გოდერძი ფირალიშვილმა „ვეფხისტყაოსნის“ მხოლოდ ერთ-ერთი ეპიზოდი გამოიყენა თავის ტრალედის სიუჟეტისათვის. პოემის მთლიანად გასცენირება კი სცადა ოქროპირ ბაგრატიონმა. მან 1853 წელს მოსკოვში (ივ. სერიივოს სტამბაში) ცალკე წიგნად გამოსცა „ვეფხისტყაოსნის“ გაღმოკეთება პიესად ქართულ ენაზე, რომელსაც ეწოდებოდა „ვეფხისტყაოსნი“, ტრალედია, გინა მოთხოვით წარმოდგინება“.

ტექსტს წილ უძღვის „წინასიტყვაობა“, რომელშიც ავტორი მოკლედ ეხება „ვეფხისტყაოსნის“ გასცენიურების ისტორიას. სწორედ აქ გვამცნ მან, რომ „თუმცა 1805 წელსა გოდერძი ფირალოვმან დაწერა „ვეფხისტყაოსნი“, ტრალედია ხუთ მოქმედებითი, მაგრა თეატრზედ არ უთამაშნიათო“. წინასიტყვაობაში ოქროპირი აღნიშნავს იმ პრინციპებს, რომლის მიხედვითაც შეიძლება პოემა პიესად გადაკეთდეს, — ეხება მის მიერ ჩატარებულ ცდის, რომ საკუთარი ლექსები „დავავშირებად მოქმედებისა და შესაბამისად თეატრისა მოიხმარა“.

პიესის მოქმედი პირნი არიან:  
 როსტევან — მეფე არაბეთისა  
 თინათინ — მისი ასული  
 ავანდილ — მისი სპასპეტი  
 სოლრატ — ვეზირი  
 ზორა — მოახლე თინათინისა  
 შერმადინ — მეგობარი და მოსამსახურე  
 ავთანდილისა  
 ტარიელ — მეფე ინდოეთისა  
 ნესტან დარევან — ასული პინდოთ მეფის ფარსადანისა  
 ასმათ — მხევალი და მეგობარი ნესტან დარევანისა  
 დულარ — დედოფალი ქაჯთა  
 ფერია — მოახლე ქაჯი, მიჩენილი ნესტან დარევანის  
 ფრიდონ — მეფე გულლანზანზარისა

ფატმანი — ხათუნ

ფატმანის ქაჯი

მონანი და მონადირენი — როსტევან მეფისა და ერი — არაბეთისა

მოახლენი — ფატმანისა

ლაშქარნი — არაბთა, ფრიდონისა და ქაჯთა.

როგორც ვხედავთ, მოქმედ პირთა დასახელებაში, პოემისაგან განსხვავებულად, არის რამდენიმე ახალი სახელიც (ზორა, ფერია, ფატმანის ქაჯი).

პირველი მოქმედება იწყება არაბეთში თინათინისა და მისი მოახლის ზორას საუბრით თინათინის ჟარბაზში. პიესის მთელ მანძილზე შეინიშნება ავტორის მისწრაფება იქეთკენ, რომ არ ასცდეს რუსთაველს.

ოქროპირ ბაგრატიონი ცდილობს ტრაგედიაში დაიცვას მოქმედების მთლიანობა. ადგილისა და ღრიოს მთლიანობის დაცვას კი ვერ ახერხებს. რის შესახებაც დეტალურ ახსნა-განმარტებას იძლევა პიესის წინასიტყვა-ობაში.

„ვეცადე. რომ დამეცვა წესი შესაბამი ტრადედიისა. რაც ამ ახალგვარს შეეფერებოდა. მხოლობა მოქმედებისა დაცულია, ვინაიდან ფარერაკი, რომელი წარპეტიონია უპირატესთა გვამთა მხოლო. იგივეობა ადგილისა არ შემძლო დამეცვა, რადგან თვით ამბავი ნესტან დარეგანის ძებნაა. მოქმედებანი. თუმცა სხვა-დასხვა ადგილს აღსრულდებიან, ეგეც ერთი მეორეზე დამოკიდებულ არიან... იქნება დამზრახოს ვინმემ. რომ უპირატესნი არა ყოველ-სა მოქმედებაში იცილვებიან, ესე ბრალი, თუ კი ბრალია, ამბისაა და არა ჩემი, თუ ნესტან დარეგან და ტარიელ ერთად იხილვებოდნენ, გაყრილნი აღარ იქნებოდნენ და ამბავიც მათის მოშორებისა და ძებნისა აღარ იხსენებოდა... ვინაიდგაან რუსთაველის წარმოდგენა გვინდოდა და რუსთაველი როსტევანითგან მოჰყვება ამბის თხრობას, და თუ სხვაგვარად დაგვეწყო, სრვა რამე იქნებოდა და არა რუსთაველის ამბავი.

...ვამჯობინე რუსთაველს შევდგომოდი, ვანიდან რუსთაველი უკეთ მოუთხრობს. რამთონიც შევიძელ. რუსთაველის ლექსები მოვიღე. ჩემი ლექსები ოლონდ დაკავშირებად მოქმედებისა და შესაბამისად თეატრისა მოვიხმარე“.

ოქროპირ ბაგრატიონის ტრაგედიის „წინასიტყვა-ობა“ დიდმნიშვნელოვანია არა მარტო

ინსცენირებული პოემის ისტორიისა და აღნა-გობის გასარკვევად, არამედ კლასიციისტური და რეალისტური ხელოვნების ურთიერთ და-მოქიდებულების შესახებაც მეცხრამეტე საუკუნის პირველნახევრის საქართველოში.

იმავე წინასიტყვა-ობაში იქროპირი წერს: „სულ სხვა იყო გიორგი ერისთავის სურვილა. იმას უნდოდა, რომ ვეფხისტყაოსანი წარმოლ-გენილიყო. რამდენიც შეიძლებოდა სცენას მიხედვით, იმავე რუსთაველის ლექსებით, და ამით სხვა ახალი გვარი რამე შემოელო. თვით მიპყო ხელი და ერთი მოქმედება დაწერა, მაგრამ მე არ წამიკითხავს და არ ვაცი, რისთვის აიღო ხელი. ვგონებ, მრავალმა საქმემ და ახალი აქტიორების განსწავლების ზრუნვამ არ მისცეს მოცალობა“. ესე იგი უნდა ვიგულის-ხმოთ. რომ ქართული რეალისტური თეატრის ფუძემდებელს გიორგი ერისთავს ოქროპირთან პარალელურად უზრუნვით „ვეფხისტყაოსნის“ პიესად გადაკეთებისათვის, ერთო-მოქმედება 1850 წლამდე დაუწერია, ხოლო დანარჩენი ოთხი კი 1850 წლის შემდეგ. დაბეჭ-დილი არ ყოფილა. ეს ხელნაწერი მცუკვლეველი იყო, მაგრამ 1937 წელს იგი აღმოჩნდა პუშკინის სახელობის თეატრალურ მუზეუმში (ლენინგრადი) და ამჟამად იგი დაცულია საქართველოს სათეატრო მუზეუმში.

გიორგი ერისთავის მიერ ინსცენირებული „ვეფხისტყაოსანი“ იმდენადაა საინტერესო, რამდენადაც მასში აღნიშნულია დაღმისათვის ბევრი პრაქტიკული საკითხი. რაც შეეხება თვით ტექსტს, იგი თითქმის მთლიანად ასუსთაველისა, გარდა ზოგიერთი უმნიშვნელო რემარკისა.

„ვეფხისტყაოსნი“ ინსცენირების თვალ-საზრისით მეცხრამეტე საუკუნის პირველი ნახევარი ნაყოფერი იყო; მეორე ნახევარში კი მხოლოდ 1895 წელს დაწერა ქართული თეატრის რეესორტის თანაშემწის ალექსანდრე თამაზაშვილის მიერ ხუთ მოქმედებიანი ღრამა პროზად „ვეფხისტყაოსანის“ სახელ-წოდებით. დაიდგა იმავე წელს.

1901 წელს, პეტერბურგში როსტომ მყინვარმა გამოსცა ნაშრომი «В барсовой коже». Картини для сцены. По грузинской поэме того же названия Шота Руставели. С портретом Ш. Руставели и 5 иллюстрациями в тексте. ეს იყო ლიტერატურულ-სცენიური კომპოზიცია 15 სურათად და აპოთეოზით. როსტომ მყინვარმა განიზრახა ამით ალენიშნა გოდერძი ფირალიშვილის ლვაწლი. რომლის

„ინდოეთის ტახტის მემკვიდრის“ შექმნილა შეოცე საუკუნის დასაწყისში ას წელი სრულდებოდა.

„ვეფხისტყაოსნის“ გასცენირების საკითხთან დაკავშირებით არ არის ინტერესს მოკლებული ის. რომ ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეების მისწრაფება არ ამოწურება მარტო უკვდავი პოემის თეატრალურ ფიცარნაზე ატანის დიდი სურვილით. ასევე იყო და არის ცდები. რათა დრამატურგიაში და სცენაზე შემოიყვანონ თვით რუსთაველი.

გასული საუკუნის ოთხმოცდაათიან წლებში ქართული თეატრის ცნობილმა მსახიობმა კოტე მესხმა შექმნა და დადგა კიდეც. ოთხმოქმედებიანი პიესა „რუსთაველი“. მოქმედი პირებისა: სახლოუბუცესი შოთა რუსთაველი. მასთან შეზრდილი ორთალიშვილი. თამარ მეფე, დავით სოსლანი. ლიპარიტ ორბელიანი. მალხაზი. ზაქარია. იასონი. გვივი და სხვა. პიესა ასე იწყება: „სახლოუბუცესი რუსთაველის სახლში ვართ. მალხაზი. შოთას შეგირდი, მოსამსახურეს ელაბარაკება, რომ ჩვენს ბატონს ბევრი მტერი ჰყავსო. გამოდიან რუსთაველი და ორთალაშვილი, შოთას თანაშეზრდილი. მათ ერთად უსწავლიათ ათონშა. რუსთაველი ცდილობს ალაგმოს თავგასულობა ერისთავთა, თაბაგთა და დიდყაცთა.

პიესის მიხედვით თამარ მეფე სიკვდილის განახენს გამოუტანს რუსთაველს, მაგრამ შემდეგ აპატიებს. რუსთაველი „ვეფხისტყაოსნის“ მიართმევს ძლვნად თამარს.

პიესის ნაკლად მიჩნეულია. რომ მას დრამატიზმი აკლია. მაგრამ მიუხედავად ამისა იყო გარკვეული მნიშვნელობისა იყო ქართული თეატრის რეპერტუარში. იდგმებოდა კიდევაც მთელი რიგი წლების მანძილზე. რუსთაველის როლს ასრულებდა თვით კოტე მესხი.

„ვეფხისტყაოსნის“ გასცენირების ცდები ქართულ საბჭერო და საბალეტო ხელოვნებაშიც იყო.

შერ კიდევ 1885 წელს ქართული მუსიკის მოამაგეს იპოლიტოვი-ივანოვს განუზრახავს აპერის დაწერა „ვეფხისტყაოსნის“ თემაზე. მაგრამ ეს მას ბოლომდე ვერ მიუყვანია.

მეოცე საუკუნის დასაწყისში თბილისის სათავადაზნაურო გიმნაზიის ორკესტრს და ქოროს ზაქარია ფალიაშვილის ხელმძღვანელობით შეუსრულებია ა. ყარაშვილის საბალეტო სცენა აპერიდან „ვეფხისტყაოსნი“ ამას დიდი აღფრთოვანება გამოუწვევია საზო-

გადოებაში. ანდრია ყარაშვილს დამუშავებული ჰქონია ოპერის (ბალეტით) ერთი მოქმედება. მაგრამ გარდაცვალების გამო ვერ დამთავრა.

კომპოზიტორმა ლეო უალიაშვილმა დაწერა 4-მოქმედებიანი ოპერა სახელწოდებით „ნესტანი და ტარიელი“. ლიბრეტოთ მან გამოიყენა პეტრე მირიანშვილის მიერ 1907 წელს დაწერილი და დაუდგმელი პიესა. ოპერა არ განხორციელებულა, თუმცა მისი ნაწყვეტები მოსმენილ იქნა.

თვით შოთა რუსთაველის ცხოვრების დაგენდის საფუძველზე აპერა შექმნა დიმიტრია არაყიშვილმა, რომელსაც ჩაწერალი ჰქონდა ცალკეული სიმღერები „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტთან დაკავშირებით და მათ შორის 1901 წელს დაწერილი მელოდია პოემის მოტივზე. დ. არაყიშვილმა შექმნა კიდევაც ოპერა სახელწოდებით „თქმულება შოთა რუსთაველზე“. რომელშიც გამოიყენებულია „ვეფხისტყაოსნის“ ზოგი ადგილი.

პოემის სიუჟეტში გამოხატულება ჰპოვა შალვა მშველიძის ოპერაში „თქმულება ტარიელზე“ (ლიბრეტო აკ. ფალავასი).

ამ თემაზე იმუშავეს კომპოზიტორებმა: ალ. მაჭავარიანმა, რ. გაბიჩვაძემ, გრ. კოკელძემ, ალ. ცაგარეეშვილმა. აკ. ანდრიაშვილმა, და სხვ.

ქართულ საბჭოთა დრამატულ თეატრშიც სცადეს „ვეფხისტყაოსნის“ გასცენირება და მისი დადგმა. რასაც 1923 წელს ხელი მოჰკიდა. თვით საბჭოთა ქართული თეატრის ფუქემდებელმა კოტე მარჯანიშვილმა. სცენარი შეიმუშავეს კ. მარჯანიშვილმა. ალ. ახმეტელმა, კონსტ. ანდრიანიშვილმა, მის. ქორელმა და დ. ანთაძემ. მუსიკას წერდა თ. ვახვაძიშვილი. სპექტაკლის მხატვრად დანიშნული იყო ვალერიან სიღამონ-ერისთავი. როლები ასე იყო განაწილებული:

მთხოვნებელი — აკ. ფალავა, აკ. ხორავა, ილ. ზურაბიშვილი. შალვა დადგმანი. რასტევანი — აკ. ხორავა. შ. ღამბაშიძე. თანათონი — ვ. ანგაფარიძე. ალ. ქიქოძე ავთანდილი — აკ. ვასაძე. ტარიელი — გ. დავითაშვილი. ნესტან დარეგანი — ნ. ჩხეიძე. თ. ჭავჭავაძე ასმათი — ე. ღონაური და სხვ. მარტალია. ჩატარია. ჩატარდა რამდენიმე რეპეტიცია; მაგრამ საინტერესო ჩანაფიქრმა საბოლოო განხორციელება ვერ ჰპოვა.

ქართულ საბჭოთა დრამატურგიასა და თეატრში ამ თემაზე იმუშავეს შალვა დაღიანმა. სანორო შანშაშვილმა, ნ. შიუკაშვილმა, ჟ. ფალავამ, გ. უურულმა, დავათ კასრაძემ, ი. ვაკელმა.

რუსთაველისადმი ინტერესმა საქართველოსა და მის საზღვრებს გარეთაც განსაკუთრებულად იჩინა თავი საბჭოთა პერიოდში.

1939 წელს, მოსკოვში, ფრუნზეს რაიონის პიონერთა სახლის თეატრალურმა კოლექტივმა დადგა „ვეფხისტყაოსანი“, რომელიც უჩვენეს აგრეთვე მანდელშტამის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკში და მოსკოვის მეცნიერთა სახლში. დადგმისათვის დრამატული სცენები გააკეთა საბავშვო მწერალმა როზანოვმა.

ამ მნიშვნელოვანი ფაქტის შესახებ მოსკოვის „ლიტერატურნაია გაზეტაში“ კამიქვეყნდა კრიტიკი რეცელი რეცენზია, რომელშიც დახასიათებულია „ვეფხისტყაოსნის“ გასცენირების სიძელეები. აქვე ხაზგასმულია დაღმაში შენარჩუნებული „ვეფხისტყაოსნის“ ძირითადი თემა — იდეალური სიყარული და თავგანწირული მეგობრობა.

სპექტაკლს დასასრულს ახლა მაყურებლისადმი მიმართვის ტექსტი:

«Все, что здесь мы вам играли, декламировали,  
пели,

Это только лишь крупики всей поэмы  
Руставели,  
Он в поэзии бессмертен, равен солнцу —

так могу я,  
Мы же — капля дождевая, отражающая луч».

ეს იყო დიდი ქართველი პოეტის უკვდავი ქმნილების დრამატიზაციისა და გასცენირების პირველი ცდა რუსულ სცენაზე.

„ვეფხისტყაოსნის“ გასცენირების ცდა იყო უზბექთის მოძე რესპუბლიკაშიც, სადაც ტაშკენტის მუკიმის სახელობის მუსიკალურია დრამისა და კომედიის სახელმწიფო თეატრმა 1964 წელს მაყურებელს უჩვენა ტურსუნ გაბიროვის 3-მოქმედებიანი პიესა „სამი გოლიათის“ სახელწოდებით. ამ მუსიკალური დრამის ვეტორ-დამდგმელებია კომპოზიტორი მ. იუსუპოვი. რეჟისორი ი. რადუნი. მხატვარი გ. ვიზელი. ტარიელის როლს ანსახიერებს მ. გაფუროვი. ხოლო ნესტანისას — ფ. რამაზოვი.

პიესის მოქმედ პირთავან ტარიელი ინდოელია. ავთანდილი — არაბი, ხოლო ფრიდონი უზბეკი, რაც განსაკუთრებულ ინტერესს იწ-

ვევს უზბეკელ მაყურებელში. სპექტაკლში ხალხთა მეგობრობის იდეა ილუსტრირებულია ამ სამი ქვეყნის შვილთა მეგობრობის მაგლითზე.

სახელმოხევის ბალეტმეისტერმა სერქ ლიფარმა 1945-46 წლებში სათრანგეთში. მონტე კარლოსა და ბარიზის „გრანდ ოპერა-ში“ დადგა „ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტზე შექმნილი ბალეტი. იგი იდგმებოდა „შოთა რუსთაველის“ სახელწოდებით. წილად ხვდა დიდი წარმატება. მსოფლიოს პრესაშ მთელი გვერდები უძლვნა ამ შესანიშნავ სპექტაკლს.

სერქ ლიფარის შეფასებით „ქართული ქორეოგრაფიული ფოლკლორის გამოჩენა დიდ სცენაზე, კლასიკურ დადგმებში, ხსნის ახალ ერას ბალეტის ისტორიაში“.

ბალეტ „შოთა რუსთაველის“ მუსიკა ეკუთვნის მსოფლიოში აღიარებულ კომპოზიტორებს. ა. ონეგვის, ი. ჩერეპნინს და კ. არსანის. დადგმის მხატვარი იყო დიდი თეატრალური მხატვარი ალ. შერვაშიძე. კოსტუმები გაუფორმა მხატვრებმა კ. ეპოკონიციმ.

სპექტაკლში მონაწილეობდნენ ბალეტის ისეთი ვარსკვლავები, როგორიცაა ივეტ შოვირე, უანინ შარა, იური ალგაროვი, რენე უან მერი, კ. სკურატოვი და სხვები.

ივეტ შოვირე ასრულებდა ნესტან დარეგანის პარტიას, ი. ალგაროვი — ტარიელს, კ. სკურატოვი — ავთანდილს.

1960 წელს „ვეფხისტყაოსნის“ ინსცენირება განხორციელდა პოლონეთის ქალაქ კრაკოვის პოეტურ თეატრში. პოემა თარგმნა ეყიზაგურსკიმ. ინსცენირება ეკუთვნოდა რეჟისორ მტისლავ კოტლიარჩის, მხატვრობა — მარიან ტარლიცკის. ცეკვები დადგა ზ. პერკვიცკიმ. ხოლო მუსიკალურად სპექტაკლი ანატოლ ზარუბინმა გააუორმა. როლებს ასრულებდნენ: ტარიელი — ზ. პოპრავსკი, ავთანდილი — ტ. მალიაკი. ნესტან დარეგანი — ს. ვალიგორიკა, თინათინი — ქ. სერუშევნა და სხვა. პოლონეთი გაზეთი „ტრიბუნა ლუდუ“ წერდა:

„თარგმანი უკვე მზად იყო. რითაც უმთავრესი წინააღმდეგობა გადავლახეთ. ახლა საჭარო გახდა გვეპოვნა პოემის სცენური ექვივალენტი. რაშიც უნდა დაგვემარებოდა მხატვარი. მართლაც, მან ბრწყინვალედ გადაწყვიტა ეს პრობლემა. დაგეგმა სამი ექანი და ისინა გამოიყენა მოქმედების ფონად ინდოეთში, არაბეთსა და ზღაპრულ სამყაროში. როდესაც მოქმედება გადადიოდა ერთი ქვეყნიდან მე-

რეში — აინთებოდა ეკრანი და მასზე მოკლედ აისახებოდა იმ მხარის დამახასიათებელი არ-ქიტექტურა და სტილი, სადაც მოვლენები ვითარდებოდა“.

რუსთაველისა და მისი „ვეფხისტყაოსნის“ გასცენირებისადმი ინტერესი დღითი დღე იზრდება არა მარტო ამ სწორუპოვარი ქმნა-

ლების სამშობლოში, არამედ მრავალი სხვა ქვეყნის ხალხშიც. ასეთი ინტერესი გამოწვეულია პოემის იმ საკაცობრიო საკითხებით, რომელთა გენიალურ გადაწყვეტას უსაზღვრო სიყვარულითა და პატივისცემით მოსავს ლიტერატურისა და ხელოვნების ყველა დაზიანების გადასაცავად.

ნინო ჯვანგირაძე.

## დრამატული სიმაფრე სიტყვისა

შ. რუსთაველი ქართული სიტყვის გოლიათია. პირზის ფართო ასპარეზზე იგი. მისივე გამოთქმა რომ ვიხმაროთ, „ხელმარჯვეღ სცემს ჩიგანს“. რაინდული შემართებით ებრძების ენის სტიქიას და მაღალი ოსტატობით გამოძერწილ პოეტურ სახეს, ნათელ აზრსა და კეთილხმოვანებას მტკიცედ ჰქონს ჭადოსნური ლექსის კამარედში. ამიტომაც გეხიბლავს პოეტური ელვარება, ღრმა სიბრძნე და თქმის მელოდიურობა რუსთაველური სტრიქნებისა.

სიტყვა დიდი • მეოსნისათვის მარტოოდენ ყყველდღიურ საჭიროებათა გადმომცემი როდია. არამედ მაღალი შთაგონებისა და განცდის საგანია და სახვითი ხელოვნების გამძლე ფერადიც. ამის გამო უკიდურესად მძაფრია ამ სიტყვის სურნელი:

ო, მისი ლექსი ისე მძაფრია,  
როგორც სურნელი გალეშილ ხორბლის —

აღნიშნავდა ო. გრიშაშვილი დიდი შემოქმედისადმი მიძღვნილ ერთ თავის ლექსში.

„ვეფხისტყაოსანი“ ქართული სიტყვის ამ სიმძაფრისა და მძლეობის არა მარტო შესანიშნავი გამომზეურებაა, არამედ ენის შინაგანი ბუნების გადმოშლაც. მისი დახასიათება და ხოტბაც არას.

შ. რუსთაველისათვის სიტყვა იგივე სიბრძნეა (გონება, აზრი). მაგრამ მასთან ერთად ენის ცნებაში ჩაქსოვილია გულუც (გრძნობადობა) და სმენაც. რამდენადაც მეტყველება მუსიკალური ტებობის ძლიერი წყაროცაა. ამ მხარეთა მთლიანობაში წარმოსახულია ენა, როგორც მხატვრული ნაწარმოების სასიცოცხლო ძარღვი, მისი ყოვლისმომცველი კომპონენტი. პოემის პროლოგშივე პოეტი ამბობს:

ამ ენა მინდა გამოთქმად, გული და ხელოვნება,  
ძალი მომეც და შეწევნა შენგნით მაქვს მივსცე  
გონება...

ენას და გონებას როგორც წყვილად დაკავშირებულ სიტყვებს პოემაში სხვაგანაც ვხვდებით [„ენა, გონება მახმარე გამოსარჩევად ამისად“. „ენა, გონება, დათმობა, მძლეთა მებრძოლობა მძლეობა“], ხოლო 635-ე სტრო-

ში მათა მნიშვნელობა გაიგივებულია: „გონება და ანუ ენა გამოთქმიდა ვითა ვისი“; ეს ენისა და აზროვნების ღიალექტიკური მთლიანობის ნათელი დადასტურებაა.

რაც შეეხება სიტყვის (ენის, მეტყველების) ბგერითს მხარეს (წარმოთქმას). იგი შ. რუსთაველის მიერ შეფასებულია როგორც მუსიკა, რაც ანიჭებს ენას სიტურფეს. სილაბაზესაცა, რაც შეეხება სიტურფეს (შეადარეთ გამოთქმები: „მისთვის კიდე ნურა უნდა, მისთვის ენა მუსიკობდეს“; „ყმა ტკბილი და ტკბილ ქართული სიკეთისა ხელის მხდელი“ და სხვ.).

გარდა ამისა, შ. რუსთაველი სიტყვას ამკობს ისეთი შესანიშნავი ეპითეტების, როგორც არის ნაჩარი, ნაზი, წყლიანი, მჭევრი, ტკბილი და მრავალი სხვა. აი ამის სათანადო კონტექსტებიც:

მათ მდაბლად მადლი უბრძანა სიტყვითა შით,  
ნაჩარითა...  
ესე წიგნი გაასრულა წყლიანმან და სიტყვა-ნაზმა...  
სიტყვა-მჭევრი და წყლიან, ტურფაო, ლამაზ-ენაო...  
და სხვ.

უცეტესობა ამ ეპითეტებისა თავისი შინაარსით ენის წარმოთქმით მხარეს გულისხმობს. ამიტომ შ. რუსთაველის ბრძნული აზრები და გამონათქმები ენობრივი პროცესის ბუნებაზე, მის ძალასა და ქმედითობაზე უმთავრესად ცოცხალ, ზეპირ სიტყვას ითვალისწინებს.

ამაზევე მიუთითებს პოემაში არა იშვიათად ნახმარი სიტყვათქმა, მაგალითად: ვთქვი საწუთოსა გმობან; ვთქვი თუ: ღმერთო, ნუ გამწირე; შეუზახნა: რა სთქვი შმაგო; ამის მეტი ალარა თქვა; ზოგჯერ თქმა სჯობს არა თქმასა, ზოგჯერ თქმითაც დაშავდების; კვლადაიწყო თქმა ამბისა; ვითა ძლივ ვათქმევ ენასა; ეგე ამბავი ცოცხალსა ენითა ვერ მათქმენო. — და სხვ. მისთ.

მთელი „ვეფხისტყაოსანი“ ცოცხალი სიტყვის განუმეორებელი ასპარეზია. პოემის მოქმედი პირი უალერესად მეტყველნი არიან. მათი ქცევა და მოქმედება, სულიერი მისწრაფებანი. გულისთქმა თუ ვნებათლელვანი მათს მშვენიერ მეტყველებაშია წარმოსახული.

სიუჟეტური განვითარების ის სიმძაფრე და დაძაბულობა, გადმოცემის დინამიკა, ექსპრე-



სიულობა და რეალიზმი, — ჩაც ასე საგანგებოდ არის დამახასიათებელი შოთას ნაწარმოებისთვის, — უთუოდ მიღწეულია პერსონაჟთა ცოცხალი, ძლიერი, ჩამოქნილი და ნატიფი სიტყვით, რომელიც ხან „ჭირსა შიგან“ მარტოდ შთენილი გმირს მიერ წარმოთქმული მონოლოგის სახით უღერს. ხან კი — და უფრო ხშირად — დიალოგების ფორმით გვევლინება.

როგორც ცნობილია, სიტყვა-პასუხში იკვეთება და იხვეწება სიტყვის მნიშვნელობა, ილვსება და ცოცხლდება აზრი, რადგან გონებრივ მიმოქცევაში ებმება. ამის თვალსაჩინო დადასტურებაა „ვეფხისტყაოსნის“ და ის დიალოგური, ბრძნული ადგილები, რომლებიც სიტყვითმიცემისა და საუბრის, თათბირის, წვრთნის, ზოგჯერ კი დაძაბული პაექტობისა და სიტყვიერი შეგონების მუცენიერ სცენებს წარმოგვიდგენება. მათ. როგორც თხელუების საერთო სიუჟეტურ ჭაჭვში, ცალკეულ რგოლებად ჩამტულ ერთგვარ დრამატულ სურათებს, ჩვეულებრივ აქვთ თავისი შესავალი. გამძაფრების შუა მომენტი და დასასრული, რითაც ისინი კვლავ უბრუნდებიან ძირითად თემატიკურ რეალს. ურთიერთ დაპირისპირებულ პერსონაჟთა დიალოგს ავტორი ყოველთვის წარმართავს დრამატული ნაწარმოებისათვის დამახასიათებელი წესით; ავტორისეული რეამარკების როლს აქ ასრულებს ისეთი სხარტი თქმები, როგორიცაა: იტყვის, ეტყოდა, უყივლა, ეტყვის, იტყვის თუ, ყმამან უთხრა, ქალმან უთხრა, მოახსენა ყმამან. ავთანდილ უთხრა. ტარიელ უთხრა, ესე უთხრა, ცხადად უთხრა. მერმე უთხრა, ფრიდონ თქვა და მისთანები.

დიალოგებზე აგებულ მგვარ ცალკეულ სურათებად თუ კვანძებად ჩვენ მცგვაჩნდა ისეთი ადგილები პოემისა. როგორიც არის, მაგალითად, თინათონისა და ავთანდილის პირველი შეხვედრა, სიყვარულის გამეოდენება, თინათონის მიერ საგმირო დავალების და ფიცის მიცემა მიზნურისთვის. ყველა ეს მომენტი ერთ სიტუაციაშია მოქცეული და მოსაუბრეთა მაღალგონივრული, ლრმად შინაარსიანი, ცოცხალი, მგრძნობიარე სიტყვებითაა საოცრად გაცხოველებული. იგი 13 სტროფისაგან შედგება და გატაცებით იკითხება; უფრო ვრცელია მოძღვვნო სცენა: გამოქვაბულში ანაზღად შეჭრილი გაშმაგებული ავთანდილი-

სა და სიცოცხლემოძულებული ასმათის უაღრესად მძაფრი, მწვავე სიტყვიერი ჭიდილი (32 სტროფი), რომელიც საბოლოოდ ავთანდილის გამარჯვებით, მოკამათეთა დაშორშინებითა და სულიერი წონასწორობის მიღწევით მთავრდება. რითაც მართლდება რუსთაველის შეგონება: „დიდი ლხინია ჭირო თქმა, თუ კაცსა მიუხდებოდეს“. პერსონაჟთა ახალი, სულ სხვა ხასიათის მღელვარებაა წარმომგენილი ამის მომდევნო სურათში, სადაც სიამოვნების, მოწონებისა და მეგობრული გატაცების განცდებია გაღმომშლილი ავთანდილისა და ტარიელის პირისპირ შეყრის დროს გამართულ საუბარში. რასაც ტარიელის ვრცელა თხრობა — ინდოეთის ვრცელი ეპოპეა ნოსდევს. ეს დიდი თხრობაც ხომ შიგა და შიგ მომენტებისათვის შესაბამისი მიმდინარე, ასე ვთქვათ „არა თავისთავადი“ დიალოგებით არის გაცოცხლებული. მეტად საყურადღებო და ნიშნეულია აგრეთვე ცალკეულ თვეებში ჩართული დრამატული სცენები: „ტარიელისა და ნესტან-დარეჭანის თათბირი და გამორჩევა“ (29 სტროფი), „ამბავი ავთანდილის არაბეთს შექცევისა“ (16 სტროფი); „დათხოვნა ავთანდილისა და როსტევან მეფესთან ვაზირის საუბარი“ (35 სტროფი); ქახოთის ციხის აღების წინ გამართული სამთა თათბირი („თათბირი ნურადინ ფრიდონისა“, „თათბირი ცვანებისა“, „თათბირი ტარიელისა“) და სხვა.

მაგრამ დრამატული სიმბატონის ყველაზე ძლიერ სცენად უნდა მივიჩნიოთ ის დღი სიტყვისგება, რაც იმართება შამბარში დაგდებულ სიკვდილის პირად მიწურვილ ტარიელსა და ავთანდილს შორის, რამც სულიერი ქარტებით განადგურებული, სასომიხდილია ვეფხისტყაოსანი მოყმე განკურნა და გამოქვაბულისაკენ აქნევინა პირი. ეს ადვილი სიტყვიერი ზემოქმედებისა და შეგონების უმძლავრესი სურათია. პოემის ფსიქოლოგიური მწვერვალი. რომელიც დაგვირგვინებულია განთქმული აფორიზმით. „გველსა ხვრელით ამოიყვანს ენა ტკბილად მოუბარი“. ცნობილია, რომ შ. აუსთაველს, ქართული ლექსის ჭაღოქარ ასტატს. მხატვერული გმოსახვის ხელოვნებაში ერთფეროვნება და შტამპი არა აქვს. იგი სულ ახალ-ახალ ხერჩებს იყენებს პერსონაჟთა ქცევა-მოქმედებისა და სულიერი ცხოვრების განმოსაცემად. და დიალოგებსაც დროდაღრი ცცვლის მშვე-

ნიერი მონოლოგებით, რომლებიც გასაოცარი ლიტერატურის ხიპერენტენსიური და აფადოებენ მკითხველს. ამის წარმოსადგენად საქმარისია მოვაგონოთ თუნდაც უცხო მოყმის საძებრად ველად გაჭრილი ავთანდილის ლოცვა და მოთქმით ტირილი არაბეთიდან გაპარვის შემდეგ. მისი სიმღერა-დაღისი, მნათობთა მიმართ ზეცად აღვლენილი და მისთანები.

მონოლოგის საგანგებო ლრამატულ სახელ უნდა ჩაითვალოს პერსონაჟთა წერილობითი სიტყვით გამოსვლა, რასაც შ. რუსთაველის ჩაწარმოებში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. აյ სულ 15 წერილია წარმოდგენილი, რომლებშიც შთამბეჭდავად არის ამეტყველებული ადამიანთა ემოციები. მათა სულისა და

გულის თქმა. წერილებს გაღმოცემის თავისებური სტილური ნიშნები და პოეტური ფერადოვნების საგანგებო სიმკვეთრე ახასიათებთ. მათი განხილვა, ისევე როგორც მონოლოგებისა, ცალკე თემის ფარგლებში უნდა მოექცეს და, საერთოდ, „ვეფხისტყაოსნის“ დრამატული ადგილების დადგენა და მათი ყოველმხრივი შესწავლა-ანალიზი დიდად შეუწყობს ხელს არამარტო უკვდავა პოემის სიუჟეტისა და კომპოზიციის თეორიულ საკითხთა რჩვევას, არამედ ამ ნაწარმოების გასცენიურებისა და ეკრანიზაციის პრაქტიკული საკითხის გადაწყვეტასაც.

ილია გაისურაძე.

**მოსაზრებანი „ვეფხისტყაოსნის“  
მხატვრული კითხვის გარშემო**

ვეფხისტყაოსანი, როგორც პოეტური გენის წაყოფი, დღესაც განსაკუთრებით იზიდავს ხელოვნების ყოველ დარგის მუშაქს და აფიქ- რებინებს მის მხატვრულ შესრულებას. — უფრო სწორად, შემსრულებლური ხელოვნე- ბის წარმომადგენლები ცდილობენ და იღწვი- ან. რომ ჩასწვდნენ ამ ჯადოსნური ნაწარმო- ბის მხატვრულ ღირსებებს და თავისი გამომ- სახველი საშუალებებით გამოხატონ, აამე- ტყველონ იგი.

ქართულ სასცენო ხელოვნებას და მხატვ- რულ კითხვას უბადლო ოცნებად აქვს გადაქ- ცეული ვეფხისტყაოსნის ცენტრიდან ამეტყვე- ლება.

დასტურდება, რომ ვეფხისტყაოსნის მხატ- ვრულ კითხვას ქართულ მეტყველებაში გარ- კვეული ტრადიცია ჰქონდა. რომელიც წარ- სულში მომეტებულად საკრავზე დამღერე- ბით, ხოლო შემდეგ ერგვარი დაღილინებით სრულდებოდა საკრავის გარეშე. XVII საუ- კუნეში უკვე ეხვდებით ლექსის მხატვრული შესრულების ორ სახეს: დამღერებას და სა- საუბრო ენასთან დაახლოებულ ცოცხალ წარ- მოთქმას. რომლის დროსაც შენარჩუნებული იყო ლექსის მუსიკალური ბუნება. XIX საუ- კუნის დამდეგს კი საქართველოში უკვე მკვი- დრდება ლექსის წარმოთქმით შესრულება, თუმცა მის პარალელურად ასებობას განა- გრძობს ლექსის დალილინებით წარმოთქმაც. 1907 წელს მ. კელენჯერიძე წერდა: რომ ვე- ფხისტყაოსნის „ლექსის ეწოდება შეირი და კი- თხვაც შაირული, საზანდრის მსგავსი უნდა“. საფიქრებელია, რომ ავტორი აქ შაირის მხატ- ვრული წარმოთქმისას გულისხმობს ლექსის მუსიკალური მხარის ისეთ წამოწევას, რომ იგი მუსიკალური საკრავის გაბმულ მელოდიას შეესატყვისებოდეს.

ვეფხისტყაოსნის მხატვრული კითხვის ტრა- დიციის შესახებ 1937 წელს გახეთმა „მუშამ“ გამოაქვეყნა ი. ნიკოლაიშვილის სტატია. რო- მელშიც ნათქვამი იყო. რომ „ამ სამოცი წლის წინად ქართულ ენას მასწავლიდა აწ განსვე- ნებული პოლ. კვიცარიძე, ქართულის კარგა- მცოდნე და მეტად დაკვირვებული მკვლევა-

რი... მისი სიტყვით „ვეფხისტყაოსნის“ ძე- ლად სიმღერით კითხულობდნენ და გვიმღერა კიდევაც. კლასშიაც ის სიმღერით გვაკითხებ- და ჭგუფობრივად და ცალკეულადაც. კარგად მახსოვს ეს კილო და პატივცემული პროფე- სორის აჩვენით ფართო საზოგადოებისათვის გასაცხობად გადავიტანე წოტებზე“. (გაზ. „მუშა“, № 269. 1937 წ. „ასე კითხულობდნენ. წინათ „ვეფხისტყაოსნის“)

ნოტები დაწერილია მინორულ ტონალობა- ში დაბალი შაირის ტექსტზე. მელოდია მეტად მარტივი და მონოტონურია და სიტყვებში დარღვეულია ქართული ბუნებრივი აქცენტუ- აცია. ამიტომ საფიქრებელია, რომ ავტორის მიერ ვეფხისტყაოსნის დაღილინებული წარ- მოთქმის ნოტებზე გადატანა სიზუსტეს მოკ- ლებულია და ვერ იძლევა დაღილანების ჰეშ- მარიტ სურას.

გასული საუკუნის 80-იან წლებში ქართულ პრესაში დაისვა საკითხი, თუ როგორ უნდა იკითხებოდეს მხატვრული პოეზიას უმდიდრესი საგანძური „ვეფხისტყაოსნი“ და როგორია ქართული ლექსის მხატვრული კითხვის წესი და რიგი. ამ საკითხზე გაზეთი „ღროვა“ წერდა: „ორიოდ სიტყვა „ვეფხის ტყაოსნის“ კითხვაზე. მე ვფიქრობ. რომ ჯერ კიდევ არ დაბადებულია ის კაცი, რომელმაც „ვეფხის ტყაოსნი“ კი არა. უბრალო ქართუ- ლი ლექსი წაცითხოს. როგორც რიგი და წე- სია კითხვისა. დაბადების კი. მართლა რა მო- გახსენოთ, მაგრამ ეს კი სინამდვილეა. რომ სწავლით არავის დაუსწავლია რიგიანი კითხვა ამ პოემისა. ილია ჭავჭავაძე. რომელიც ამ სა- ლამოს კითხულობდა „ვეფხის ტყაოსნის“. სა- ზოგადოდ კარგი მკითხველია. იმას მშვენიერი ხმა აქვს, მშვენიერი გმოთქმა ჩინებული კი- ლო, მის კითხვაში ნამდვილი ქართული სიმე- ბის ულერა ისმის. მაგრამ თვითონ კითხვაში კი იმას ხელოვნება აკლია. რაღაც გამოუთ- ქმელ სიმოვნებას ვპოვებ მე ჭავჭავაძის კი- თხვაში, როდესაც ის თავისი ხმის სასიამოვნო ტემბრით შემოსძახებს:

„მაგას ნუ ბრძანებ, მეფეო, ჭერ ვარდი არ დაგჭენობია“. რაღაც დიდებული, რაღაც გრძელობისათვის

სასიამოვნო რამ ისტის ამ ხმაში, ამ ერთს გულიდამ გამოსულ სიტყვების განმეორებაში. მაგრამ რა გინდა, რომ სულ ამ პუნქტით კალის, ამ გულის ხმას მისდევს ბატ. ილია და ყველა ადგილებს ერთი და იგივე გვარად აძღობს“. (ი. მეუნარგია. „დროება“. 1881 წ. № 36 გვ. 3, 4).

ეს საბუთი იმის დამადასტურებელია. რომ გასული საუკუნის დასასრულს ქართული კულტურის წარმომადგენლები დიდ მოთხოვნილებებს უყენებდნენ „ვეფხისტყაოსნის“ მხატვრული კითხვის ხელვნებას და თვით მაღალი ოსტატობის დროსაც კი დაუშვებლად თვლიდნენ ერთი რომელიმე მხატვრული ხერხის დაუსრულებელ გამოყენებას.

მეტად საუკუნიდღებო ცნობებს იძლევა „ვეფხისტყაოსნის“ • მხატვრული კითხვის შესახებ ა. მეუნარგია, როდესაც იგვიშეოს გრიგოლ დადიანის მიერ „ვეფხისტყაოსნის“ მხატვრულ კითხვას. იგი წერს: „ჯერ კიდევ შორს არ წავსულვართ ჩვენ იმ დროიდან. როცა „ვეფხის ტყაოსანს“, თუ შეიძლება ასე ითქვას, ლილინებდნენ ჩვენში და არა კითხულობდნენ. ახალმა დრომ კითხვა დაუწყო „ვეფხის ტყაოსანს“, მაგრამ გალობის ტონი ჯერ კადევ არ გამონელებია... დადიანი „ვეფხის ტყაოსანს“ მშვენივრად კითხულობს. აი, რა-გვარად იშვებს ის პოემას:

„იყო არაბეთს როსტევან, მეოდე ღვიანსაგან სუიანი,  
მაღალი

უხევ,

მდაბალი,

ლაშქარ-მრავალი, უმიანი“.

როსტევან მეფის დამახასიათებელ ეპიტეტებს ის ამგვარად ცალცალკე იტყვის, დიღი პატარით მათ შორის. ეს პატარი მსმენელის გამოხატულებას უფრო ნათლად წარმოუდგენს არაბეთის მბრძანებლის ვინაობას, ვიდრე ჩვეულებრივი:

„მაღალი, უხევ, მდაბალა“.

ამასთან ამ სამ ეპიტეტს უფრო დაბალი ხმით იტყვის და „ლაშქარ-მრავალში“ ოდნავ ხმას აუწევს. თითქო ლაშქრით აგრძნობინებს მსმენელს როსტევან მეფის ძლიერებას.

არ ვიცი. რომელი ერთი ადგილი წარმოუდგინო მკითხველს „ვეფხის ტყაოსნიდან“, რომელსაც ზედმიშვნით კარგად კითხულობს დადიანი. „ვეფხისტყაოსანი“ წიგნია და არა მცირე ლექსი. რომლის თათოეულ ტაეპზე შეიძლება ილაპარაკოს კაცმა — რა ხმით, რა მა-

მკით და რა მიხვრა-მოხვრით წარმოსთქვაშს მკითხველი ამ ტაეპს. მე რომ ლიტონი სიტყვით ვიძახი „მშვენივრად“, „კარგად“, „ზედმიშვნით“ კითხულობს დადიანი ამა და ამ ადგილს-მეთქი, ამით ხომ ვერვის გავაგებინებ მართლა როგორ კითხულობს ის „ვეფხისტყაოსნის“ ადგილს“.

მოყვანილი აღწერიდან ჩვენთვის საყურადღებოა. რომ გრიგოლ დადიანის მხატვრული კითხვა ერთგვარი გარდამავალი საფეხურია დალილინებით წარმოთქმიდან წმინდა სამეტყველო წარმოთქმადე. როგორც ჩანს, გრიგოლ დადიანის მხატვრული კითხვა ხსიათდებოდა ღრმა აზრიანობით და ემოციურობით და იგი შესანიშნავად იყენებდა სალექსო პაუზას როგორც ტაეპის ბოლოს. ისე მის შუაგულში ცეტურის ალაგას, და ეს პაუზა გააზრებული და მხატვრული ჰერეტით იყო აღვსილი. რაც თავის მხრივ დიდ ემოციურ შთაბეჭდილებას ახდენდა მსმენელზე.

„ვეფხისტყაოსნის“ მხატვრული კითხვის ისტორიისათვის მეტად საინტერესო მასალა გავქვს დატოვებული ი. მეუნარგიას მიერ, რომელიც აგვიშეოს მამია გურიელის მხატვრულ კითხვას:

„მამია ჩინებული მკითხველი იყო.

კარგი კითხვა, როგორც კარგი სიმღერა, უნდა თვითონ გაიგონს კაცმა, თორემ აღწერით ძნელია იმის სიმშვენიერის გადაცემა. აღწერას მხოლოდ გარეგანი ნიშნების წარმოუდგენა შეუძლია; კითხვა-გალობის ალი და მომხიბლავი ძალა კი ქრება იმავე წამს. რა წამსაც დაიხშო პირი მგალობელისა ან მკითხველისა.

მე სანამ მისი კითხვა არ გავიგონე, არ ვიცოდი. რას ნიშნავს მეფე გიორგის სიტყვა „მსუქნად იტყვის“, რომლითაც იგი უწონებდა კითხვას მის კარისკაც ივანე ათხაზე... მამიას სიტყვა საღლაც პირის სიღრმეში იბადებოდა... სწორედ რომ მსუქნად, ლრმად, მთელის პირით... მშვენიერი იყო ის, როცა კითხულობდა „ვეფხისტყაოსნიდან“... ქაჭთის ციხის იერიშით აღებას იმ ადგილიდან, საცა რუსთველი ამბობს:

ანაზდად ცენი გაქუსლეს, მათრახმან შეკემნა წრიალი!

იმ ხანამდის, საცა ავთანდილ და ფრიდონ შეეყრებიან ტარიელისგან ნალეშ აბჯარს და რუსთველი იტყვის იმაზე:

პეტერე ნაქნრად ტარიელისად, სოჭევს საქმეა მისეული.

სანამ მამია ამ ტაეპის პირველ ნახევრამდის

ჩამოვიდოდა. მისი ხმა თვითონ ბრძოლის ხა-  
ტი იყო: ძლიერი, სწრაფი, მრისხანებით სავსე.  
მაგრამ რა აქ ჩამოაწევდა, ის ცოტა ხანს შე-  
ჩერდებოდა, ხმას დაუწევდა და ცოტა აჩქარე-  
ბულად, სხარტულად. მუსაიფის კილოზე,  
თითქო განჩე. წასევით წაილაპარაკებდა:

... სოქვეს, საჭეა მისეული.

მამიას კითხვაში შესანიშნავი ის იყო. რომ  
რაც უნდა გაცხარებული კითხვა ჰქონოდა  
იმას, რაც უნდა დრომატიული მოძრაობა ყო-  
ფილიყო ლექსში, ფრაზასა და ფრაზას შეუ-  
მამიაში სრულიად დამშვიდებულს და თავი-  
სუფალ არტისტს გრძნობდინ“. (მეუნარგია.  
გვ. 365, 66).

გამია გურიელის კითხვა დალილინების არა-  
ვითარ ნიშანს აღარ შეიცავს, — მისი კითხვა  
წმინდა სამეტყველოა და იგი სრულყოფილად  
იყენებს ძლიერი ემოციის სამეტყველო ინ-  
ტინაციით გამოსახვას. ამასთან ერთად გურა-  
ელის მხატვრული კითხვა. როგორც ჩანს, მე-  
ტყველების ბუნებრივი კილოთი და სისალა-  
ვით ხასიათდებოდა. „ვეფხისტყაოსნის“ ბუ-  
ნებრივი მეტყველების კილოთი კითხვა თან-  
დათან მკვიდრდება ქართულ სასცენო ხელოვ-  
ნებაში, ხოლო დალილინებით კითხვა დროთა  
განმავლობაში მივიწყებას ეძლევა.

„ვეფხისტყაოსნმა“ თავისი დასაბამიდან  
დღევანდლამდე მხატვრული კითხვის სხვადა-  
სხვაგვარი საფეხური განვლო. პირველად იგი  
საკრავზე დამლერებით იკითხებოდა. შემდეგ  
დალილინებით და დღეს კი მეტყველებით  
სრულდება.

ვფიქრობთ, რომ „ვეფხისტყაოსნის“ მხატვ-  
რული კითხვის დროს უდიდესი მნიშვნელობა  
აქვს შარის რიტმის სწორ მიგნებას, ვინაი-  
დან სწორად მიგნებული რიტმი ყოველთვის  
უშუალო კავშირში იყოფება შაირის აზრობ-  
რივ-ემოციური ბუნების სწორ შეგრძნობას-  
თან.

„ვეფხისტყაოსანი“ დაწერილია ოქვესმეტ  
მარცვლიანი საზომით, რომელსაც შაირი ეწო-  
დება და რომელშიაც ვარჩევთ „დაბალ შა-  
ირს“, როდესაც ლექსი ქორე-დაქტილური  
ლოგედებით არის დაწერილი და „მაღალ  
შაირს“. როდესაც ლექსი ქორეული ან მარე  
პეონური პოლიმეტრებით არის დაწერილი.

შაირის მხატვრული კითხვის დროს საჭიროა  
დაცული იყოს ლექსის რიტმის არსებითი კა-  
ნონები. სახელდობრ, შაირის ყოველი ტაქას

ბოლოს აუცილებელია შესვენება. რომელსაც  
აუცილებელ პაუზასაც უცწოდებთ ხოლმე.  
აუცილებელი პაუზა უნდა იყოს ბუნებრივა-  
და გამოწვეული ტაქაში მოთავსებული აზრით.  
და არა სამეტყველო ნაკვეთის მექანიკურა  
შეჩერება.

შაირი ტაქაში მერვე მარცვლის შემდეგ ცე-  
ზურა იხმარება. ცეზურა მხატვრულ კითხვაში  
მცირე პაუზა არის, რომელიც გაცალების  
ნაკლები გრძილობისა უნდა იყოს ტაქას ბო-  
ლოს მოთავსებულ აუცილებელ პაუზასთან  
შედარებით.

შაირის ტაქაში, უმეტესად, ცეზურა სიტყ-  
ვების აზრობრივ დაჯგუფებას წარმოადგენს  
და მიტომ წარმოთქმის დროს აზრობრივ პაუ-  
ზას ქმნის და არა ხელოვნურ შეჩერებას. შაი-  
რის წარმოთქმის დროს ცეზურის ადგილას  
ხდება აგრეთვე მელიდური ცვალებადობა  
ტაქას ინტონაციაში, რასაც ძევლად „ხმის-  
საქცევს“ უწოდებდნენ.

ნახეს ცეხო მოყმე ვინანე, / ჯდა მტრიალი წყლისა პირსა, /  
შავი ცხენი სადაცია / ცყვა ლომსა და კითა გმირსა, /  
სშირად ესხა მარგალიტი / ლაგომ-აბგარ-უნაგირსა, /  
ცრემლსა ვარდა დაეთროვალა, / გულსა პდულრად  
ანატირსა. /

მოყვანილ სტროფში / — აღვნიშნავთ ცე-  
ზურას და ტაქას ბოლოს აუცილებელ პაუ-  
ზას. მხატვრულ კითხვაში ყოველა ცეზურა და  
აუცილებელი პაუზა აზრის ბუნებრივი დინე-  
ბით არის გამოწვეული.

შაირის მხატვრული კითხვის დროს ყოველ  
ტაქას თავისი სპეციურული ინტონაცია უჩნ-  
დება. ამ სპეციფიურობას იწვევს ყოველი  
ტაქას ბოლოს აუცილებელი პაუზა. რომე-  
ლიც თვითეულ ტაქას ინტონაციურად გამო-  
ყოფს და ტაქაში მოთავსებულ რიტმებს ერთ-  
ინტონაციურ რკალში აერთიანებს. შაირში  
ყოველი ტაქას ინტონაციას ახასიათებს მო-  
ლოდინით შემდგომი ტაქასა. გარდა მეოთხე  
ტაქასა, რომელიც სრულ კადანს იძლევა და  
სამეტყველო ინტონაციას წერტილს უვსამს.

შაირის ინტონაციის საფუძველი რასში ჩა-  
სოვილი აზრია. შაირის სწორი წარმოთქმის  
დროს ინტონაცია გარკვეული ემოციის გამო-  
სახველი ხდება.

„ვეფხისტყაოსანში“ შაირი ყოველთვის  
გარკვეული აზრის გადმოცემას ემსახურება;  
ამიტომ მხატვრული კითხვის დროს ლოგიკუ-  
რი მახვილის ხმარება აუცილებელია. მაგრამ  
ლექსში ლოგიკური მახვილის ხმარება გარ-

კვეული სპეციფიურობით ხასიათდება. რაც ლექსის რიტმით და ტექპის მელოდიით არის განპირობებული. შაირის მხატვრული კითხვის დროს ლოგიკური მახვილის ხმარების სპეციფიურობა იმაში გამოიხატება, რომ მისი საძლიერე ნებისმიერი არ არის ისე, როგორც აშას ადგილი აქვს პროზაში. ტექში ლოგიკური მახვილის ქვეშ მოქცეული სიტყვა ტექშის მელოდიურ სურათს არ უნდა არღვევდეს, იგა ამოვარდნილი არ უნდა იყოს. შაირში ლოგიკური მახვილის ხმარება მეტ სირბილეს მოითხოვს, ვიდრე პროზაში.

ოუცა ქალია, ხელმწიფედ მართ ღმრთისა დანაბადია; არ გათნეთ, იცის მეფობა, უთქვენოდ გვითქვამს

კვლა დია;

შულთა მისთაებრ საქმეცა მისი მზეპარ განაცხადია. ლუკი ლომისა სწორია, ძუ იყოს, თუნდა ხვადია.

შაირის მხატვრული კითხვის დროს ლოგიკური მახვილის ხმარება ინდივიდუალური ხასიათისაა. ამაში მეღავნდება მკითხველის მიერ ტექსტის გავება და ამოხსნა.

იმისათვის, რომ „ვეფხისტყაოსანი“ გასაგონი და მოსასმენი გავხადოთ დიდ აუდიტორიისათვის. მხატვრული მკითხველი სრული ანუ სავსე სტილით უნდა მეტყველებდეს. რომლის დროსაც მეტყველება დარჩას სლური და მყაფიო. მსუქანი წარმოთქმით ხასიათდება. მეტყველების მხოლოდ ასეთი ხასიათით შეიძლება იმ დიდი აზრობრივ-ემოციური ტეირთის აწევა, რომლითაც გამოარჩევა „ვეფხისტყაოსანი“.

„ვეფხისტყაოსანი“ რიტმულად ორგანიზებული მეტყველებაა, რომელშიაც მდიდარი შინაარსი მკაცრად მოწესრიგებულ შაირის ფორმით არის გადმოცემული. მხატვრულ მეტყველებაში „ვეფხისტყაოსანის“ წარმოთქმა მოითხოვს ლექსის შინაარსისა და ფორმას სრულ შეხმატკბილებას, ერთ მთლიანობაში გადმოცემას. ამის მისაღწევად კი საჭირო იქნება მკითხველი საფუძვლიანად გაერკვეს „ვეფხისტყაოსანის“ იდეაში, თემაში. სახიერებაში. ერთი მხრივ, და შაირის რიტმში, მეორე მხრივ.

„ვეფხისტყაოსანის“ მხატვრული კითხვის დროს მკითხველმა გარკვეული ზეამოცანა უნდა დაისახოს; ამაში გამოვლინდება მკითხველის მსოფლმხედველობა. ნაწარმოების იდეის სწორი გაგება. საჭიროა ლექსის შანაბრსობრივი ანალიზი, რათა მკითხველმა დაადგინოს ნაწყვეტში აზრის თანმიმდევრული განვითარება, გამოყოს მონაცემები და ამოიცნოს ტექსტში ნაგულისხმევი ქვეტექსტი. რას შედეგადაც მივიღებთ ცოცხალ, აზრიან, გრძნობიერ და გამიზნულ მეტყველებას. დაბოლოს, მკითხველმა გარკვეული დამოკიდებულება უნდა დამყაროს წასაკითხად შერჩეულ ნაწარმოებთან და გამოავლინოს იგი.

ვფიქრობთ, რომ ლექსის მხატვრული კითხვის ჩამოვლილი პირობების გათვალისწინება ხელს შეუწყობს მკითხველს „ვეფხისტყაოსანის“ მხატვრული შესრულების პროცესში თანამედროვე მოთხოვნილებების შესაბამისად.

გარბალე ნიკოლაიშვილი.

## რუსთაველის სახელობის პირველი კონცურსი მხატვრულ კითხვაში

გენიალური ქართველი პოეტის შოთა რუსთაველის დაბადებიდან 800 წლისთვის იუბილესთან დაკავშირებით საქართველოს თეატრალური საზოგადოების პრეზიდიუმმა გამოიტანა დადგენილება შოთა რუსთაველის სახელმისამად პირველი კონკურსის გამოცხადების შესახებ „ვეფხისტყაოსნის“ მხატვრულ კოტვაში.

კონკურსში მონაშილეს თანახმად პირობებისა უნდა წარვითხა შოთა რუსთაველის პოემის ერთი თავი და თავისივე სურვილით შერჩეული ერთი მხატვრული ნაწარმოები (ნოველა, ლექსი, პატარა მოთხოვბა).

კონკურსში გამარჯვებულთათვის დაწესებული იყო სამი პრემია: ერთი პირველი პრემია — 300 მანეთი, ორი მეორე პრემია — თვითეული 200 მანეთი და სამი მესამე პრემია თვითეული 100 მანეთი.

საზოგადოების პრეზიდიუმის მიერ დამტკიცებული იქნა კონკურსის უიური შემდეგი შემადგენლობით: თავმჯდომარე — აკადემიკოსი გ. ახვლედიანი, მოადგილე — პროფ. დ. განლობიძე, მდივანი — ლოცენტი ბ. ნიკოლაიშვილი, წევრები: პროფ. შ. ძიძიგური, რესპ. სახ. არტისტები: დ. ანთაძე და არტ. ჩხარტიშვილი, ხელოვ. დამსახ. მოღვაწეები: ბ. ულენტი, გ. ლორთქიფანიძე და მალ. მრევლიშვილი და თეატრმცოდნე ნ. შვანგირაძე.

კონკურსი, რომელშიაც 60-ზე მეტმა მკითხველმა მიიღო მონაშილეობა თანახმად პირობებისა ორ ტურად ჩატარდა, პირველი ტუ-

რი ჩატარდა 15 სექტემბერს საქ. ხელოვნების მუშაკთა სახლში, სადაც მეორე ტურში მონაწილეობისათვის დაშვებულ იქნა 11 მკითხველი.

მეორე ტური პროფესიულ შეკითხველებთან ერთად გაიმართა 19 სექტემბერს რუსთაველის სახელმისამად პირველი მცირე დარბაზში. უიურის დადგენილებით პირველი ადგილი გაიყვეს სსრ კავშირის სახალხო არტისტმა ვ. ანგაზარიძემ და რესპ. დამს. არტისტმა გურამ საღარაძემ.

მეორე და მესამე ადგილი მაეკუთვნათ — რესპუბლიკის სახალხო არტისტებს: ცაცა ამირეგიძს, მედეა ჩახავას და ივანე რუსინოვს; რესპ. დამსახურებულ არტისტებს: ტ. საყვარელიძეს, ო. მელვანეთუხუცესს და მსხიობებს: ზ. ბაჭელაშვილსა და თ. ხაინდრავას.

გარდა ამისა „ვეფხისტყაოსნის“ მხატვრულ კითხვაში წარჩინებისათვის საპატიო სიგელებით დაკილდოვდნენ — ხელოვნების დამსახ. მოღვაწე გ. აბრამაშვილი, რესპ. დამს. არტისტები: თ. თეთრაძე, ელ. საყვარელიძე, აგრეთვე მ. ეგუტია. გრ. კერესელიძე, ვ. მარდალეიშვილი, ა. შალიკაშვილი, ვ. ოგოროვიძენიკოვა, ევ. ობორიკვი, ი. ღამბაშიძე, კ. ლაბახუა, ა. ვანცოვესკაია და არტ. გულიანი.

„ვეფხისტყაოსნის“ მთლიანი ტექსტის ზე-პირად ცოდნისათვის საპატიო სიგელი და ფულადი წახალისება მიეცათ პელო ჩხარტებს და თენგიზ ბაბლუანს.

## Краткая аннотация

Номер журнала посвящен великому грузинскому поэту-мыслителю Шота Руставели, 800 летие со дня рождения которого отмечается в эти дни. «Витязь в тигровой шкуре» — энциклопедия жизни Грузии на рубеже XII — XIII веков. Творчество

Руставели стало неиссякаемым источником исследовательских тем и изысканий ученых самых различных областей знания. Напечатанные в журнале статьи в основном относятся к области искусствоведения.

### Руставели — это Грузия

Ш. Руставели предвосхитил ренессансные идеи западно-европейской литературы, воспев свободную любовь, дружбу, честь, красоту души, смелость и подвиг во славу родины и любимой.

В статье дается анализ целого круга

вопросов, затронутых и разрешенных в «Витязе» с позиций высокого гуманизма и передовой мысли. Особо отмечаются заслуги Руставели в усовершенствовании грузинского стихосложения.

### Театр и лицедейство в эпоху Руставели

Последние данные исторической науки позволяют сделать заключение, что театр Грузии существовал еще до нашей эры, в условиях рабовладельческого строя. В эпоху Руставели театральное дело получает высокое развитие.

В поэме «Витязь в тигровой шкуре» имеются многочисленные ссылки на основной

вид театрального искусства Грузии того периода — Сахиба (лицедейство) — синтеза поэтического слова, песни и танца, с обязательным переодеванием и внешним видоизменением актера — лицедея. В статье подробно анализируются археологические данные и памятники литературы прошлого Грузии.

### Руставели и его поэма в театре и драматургии

«Витязь» привлекал внимание многих драматургов, композиторов, актеров, народных чтенов — сказателей. В начале XIX века появилось несколько пьес на сюжет гениального творения Руставели, а в конце столетия — пьесы о самом поэте. Замечательный венгерский художник Михай Зичи, автор великолепных иллюстраций к поэме, ставит «живые картины» с участием профессиональных актеров и лю-

бителей. Руставели и его поэма вдохновили композиторов Д. Аракишвили и Ш. Мшвелидзе на создание опер «Сказание о Шота Руставели» и «Сказание о Тариэле». Известный композитор А. Онегер пишет балет «Шота Руставели», который с успехом шел на оперных сценах Парижа и Монте-Карло. Инсценировка поэмы ставились в Москве, в Ташкенте, в Польше.

## Драматическая острота слова

Мысль и слово часто ассоциируются у Руставели. Он — мастер слова — выразительного, яркого, образного, действенного. Язык поэмы полон эпитетов, метафор, сравнений... На вооружении у поэта богатейший арсенал средств художественной

выразительности стиха. В статье приводятся многочисленные примеры мастерского владения Ш. Руставели техникой «шарири» — 16-ти сложного стиха с цезурой в середине строки.

### „Витязь в тигровой шкуре“ в художественном чтении

В старину поэму Руставели декламировали под аккомпанемент музыкальных инструментов. Позднее текст поэмы напевали.

В XVIII — XIX в.в. делаются попытки читать поэтические строфы Руставели выразительно, с произношением. Среди

исполнителей «Витязя» называли Ильяс Чавчавадзе, Мамия Гуриели, Тригола Дацдани.

Автор ставит вопрос: как сегодня читать Руставели? — и делится соображениями по этому поводу.

### Первый конкурс чтецов имени Шота Руставели

В связи с юбилеем великого грузинского поэта ТО Грузии объявило конкурс чтецов «Витязь в тигровой шкуре».

Конкурс был проведен в два тура. Места распределились следующим образом: Первое место поделили нар. арт. СССР Верико Анджапаридзе и засл. арт. ГССР Гурам Сагарадзе.

Второе и третье место — нар. арт. ГССР Ц. Амирэджиби, М. Чахава и Ив. Русинов; засл. арт. ГССР Т. Сакварелидзе, О. Мегвинашвили и арт. З. Бацелашвили и Т. Хайндрава.

Почетными грамотами награждены:

Засл. деят. иск. Г. Абрамишвили, засл. арт. респ. Т. Тетрадзе, Е. Сакварелидзе, а также М. Эгутия, Гр. Кереселидзе, В. Марданешвили, А. Шалиашвили, В. Огородникова, Е. Оборок, И. Гамбашидзе, К. Лабахуа, А. Ванцовская и Арт. Гулиани.

Почетной грамотой и поощрительной премией награждены Нело Чхайдзе и Тентиз Баблуани за знание полного текста «Витязь в тигровой шкуре».

## ს პ რ ჩ ე ვ ი

ბ. უდენტი — „რუსთაველი საქართველოა“ . . . . .	3
დ. ჭანელიძე — „თეატრის და სახიობის აღორძინება რუსთაველის ეპოქაში“ . . . . .	7
ნ. შვანგირაძე — „რუსთაველი და მისი პოემა დრამატურგიასა და ხელოვნებაზე“ . . . . .	11
ი. მაისურაძე — „დრამატურგიული სიმძაფრე სიტყვისა“ . . . . .	17
ბ. ნიკოლაიშვილი — „მოსაზრებანი „ვეფხისტყაოსნის“ მხატვრული კითხვის გარშემო“ . . . . .	20
რუსთაველის სახილობის პირველი კონკურსი მხატვრულ კითხვაში . . . . .	24

---

## С О Д Е Р Ж А Н И Е

<b>В. Жгенти — «Руставели — это Грузия»</b>	3
<b>Д. Джанелидзе — Театр и Лицедейство в эпоху Руставели</b>	7
<b>Н. Швавгирадзе — «Руставели и его поэма в драматургии и театре»</b>	11
<b>И. Майсурадзе — «Драматургическая острота слова»</b>	17
<b>Б. Николайшвили — «Еитязь в тигровой шкуре» в художественном чтении</b>	20
<b>Первый конкурс чтецов имени Шота Руставели</b>	24

ТОГ  
ВЕСТИК  
ТЕАТРАЛЬНОГО ОБЩЕСТВА ГРУЗИИ

(на грузинском языке)

Тбилиси—1966

№ 3 (36)

ფასი  
Цена 18 კპ.

გვდაეცა წარმოებას 23|IX 1966 წ.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 4|X 1966 წ.

ნაბეჭდ ფორმათა რაოდენობა 2,0

ზ. 3723

თე 11912

ტ. 200

საქართველოს თეატრალური საზ.-ბის სტამბა. ობილისი, გორგის ქ. № 3  
Типография Театрального Общества Грузии. Тбилиси, ул. Горького № 3